სახალხო გაზეთი

№ 498 ხუთშაბათი, 12 იანვარი, 1912 წ. № 498

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირებს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. შეიძლება მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, სასახლის ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა.

ფოსტის ადრესი: წერილებისათვის და ფულისათვის Тифлисъ, газ. Сахалхо газети, п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

მიიღება ხელის-მოწერა 1912 წლისათვის.

სურათებიანი დამატებით.

(კვირაობით)

პრემიად 1912 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ გრდემლი

ქართულ სიტყვა-კაზმულ საზოგადოების კრებულის პირველი ტომი, რომელიც „სახალხო გაზეთის“ რედაქციამ სრულ საკუთრებად შეიძინა.

კრებული „გრდემლი“ დაახლოვებით 500 გვერდიანი იქნება, იბეჭდება და ხელის-მომწერთ **იანვარშივე დაურიგდება.**

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ. **ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.**

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8.50	8.	7.50	6.75	6.	5.25	4.50	3.75	3.	2.25	1.50	.75

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე 40 კაპ.

დანარჩენ შემთხვევებში უფასო.

ექვსი შაური უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს კრებული „გრდემლი“ მიიღოს ფოსტით. ქუთაისისა, ბათომისა, სოხუმისა, ფოთისა, გორისა და თელავის ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიას ადგილობრივ აგენტთაგან.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით **მხოლოდ** შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის მოწერისათანავე 3 მ.; 1 მარტამდის 2 მ.; 1 მაისამდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1912 წლის გასულისა.

10 იანვარს 1912 წელს, ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა

იაგორ ლევანის ძე ლორთქიფანიძე,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, მეუღლე მისი **სოფიო** და დედა **ელისაბედ ლორთქიფანიძისა.** გამოსვენება საავადმყოფოდან 12 იანვარს, საღამოს 5 საათზე. დასაფლავება სოფ. დიდ-ჯიხაიში 14 იანვარს. (1—175—1.).

მიიღება ხელის მოწერა 20 დეკემბრიდან 20 თებერვლამდე.

დ. უზნაძის წიგნზე

ექსპერიმენტალური პედაგოგიკა

(შესავალი)

წიგნი მოგვითხრობს ბავშვის ფსიხოლოგიის ისტორიას და ახასიათებს ყველა მნიშვნელოვან ფსიხოლოგიურ სფერას: ყურადღებას, ინტერესს, დაღლილობის პრობლემას, მეხსიერებას და სხვ. ხელის მოწერა მიიღება ქუთაისში: „კოლხიდის“ რედაქციაში და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში და კანტ. „იმერეთში“. თბილისში: „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში.

(20—1655—12) **ფასი ხელისმომწერთათვის ორი აბაზი.**

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფობანი	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). $11\frac{1}{2}$—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მალალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12\frac{1}{2}$—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სადოსტაქრო ავ. (ქირურგიული)	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
სამშობიარო ქალ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), $11\frac{1}{2}$—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12\frac{1}{2}$—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. წამლ. ელექტ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) $10\frac{1}{2}$—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) $2\frac{1}{2}$—3.
თვალების ავ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—$2\frac{1}{2}$.
კან. და ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—$1\frac{1}{2}$.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann-რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; **„606“ წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—244/

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 12 იანვარს,

ბენეფისი დამსახურებულ არტისტის კ. მესხისა

ქართ. დრამ. საზოგად. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **პირველად ქართ. სცენაზე**

სირანო დე ბერჟერაკ,

რაინდული კომედია 5 მოქ. ედმონდ როსტანისა, თარგმანი კ. მესხისა და ბ. ახოსპირელის. **მონაწილეობს მთელი დასი. დასაწყ. საღ. 8 ს.** ადგილ. ფასი საბენეფისოა. ანონსი. მზადდება: მასხარები, ბედნიერებისათვის, ჩაძირული ზარი, მთის არწივი (შიუკაშვილისა).

(2.171.2) რეჟისორი **კ. მესხი. ქართ. დრ. საზოგად. ადმინისტრაცია.**

ახალი კლუბი

შაბათს, 14 იანვარს 1912 წ.

ჩვეულებრივი საოჯახო საღამო გამართულ იქნება

წმ. მოციქულთა სწორის, ქართველთა განმანათლებელის ნინოს სახსოვრად

დაწვრილებით ცალკე იქნება გამოცხადებული. (2—1003—1)

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი

წამლობა ჭლექისა ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა ტუბერკულინ

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ 100—1534—74).

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 210)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. $9\frac{1}{2}$ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

. ბა. პოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 $11\frac{1}{2}$.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრედვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606“

(წლ. 1090 249)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, №3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი № 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება $9\frac{1}{2}$დან 5 ს.-მდე.

ი. მ. ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1 2 საათამდე.

ვაუკოვი ქირურგ. ყოველ-დღე 12 1.

მონსე ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველდღე, გარდა კვირა უქმისა $1\frac{1}{2}$ 3 საათ.

კალამკაროვი ქალის ავად. ყოველ-დღე გარდა ხუთშაბათისა, 12 1 საათ.

უკლადნიკოვი შინაგ. ავად. ყოველდღე 4 5 საათ.

რიდელი შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ-დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12 1 საათ.

თეთრაძე სიფ. ვენერ., კან. ყოველ-დღე 1 3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ-დღე გარდა კვირა-უქმისა $11\frac{1}{2}$ $12\frac{1}{2}$ საათ.

რუდენკო შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3 4 ს.

ვესელოვზოროვი ნ. ნ. ქირურგ. ავად. ყოველ-დღე 2 3 საათ.

იოსელიანისა ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11 12 საათ.

ყალამქაროვი ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველ-დღე 2 3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-სს საღამოს 5—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია.

(თ. 1526 41).

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ. 1249 55).

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—30).

ექიმი ვ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 82)

ექიმი კბილისა იოსებ ზაქარიას ძე კანდელაკი

მიიღებს დილით **9-დან 2-მდის** და საღ. 4-დან 5-მდის. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხავს ხელოვნურ კბილებს. ტფილისი, მიხაილოვის პროსპ. **№ 7. (50—1552—25.**

ექიმი გ. მ. ღოღობერიძე იღებს ავადმყოფებს საღამოობით 4—6 საათ. წამლობა ფოსფაციდით.

კირპიჩნის შესახვევი, სახლი სვიმონოვისა, **№ 16, ტელ. 693.** (თ—1657—14)

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—$6\frac{1}{2}$ საათ. კახეთის ქ., № 5.

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10 2 ს.-მდე და საღამოს 5 7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

ექიმი ე. ი. მინასიანცი შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9 11 ს.-დე და საღამოს 6 7 სათამდე.

ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100—1117—75).

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

ექიმი კბილისა და ღრძილებისა ქაჯაია

იღებს ავადმყოფებს დილით 9-12 ს. საღამოთი 3-6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ, 1660.16)

ექიმი პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (25.899.41).

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

ამას წინად პეტერბურგში მემარჯვენე პროფესორების თათბირი მოხდა. რომელსაც სახალხო განათლების მინისტრის თანაშემწედ ნამყოფი ზვერაევი ხელმძღვანელობდა.

პროფესორებს შემდეგი რეზოლუცია დაუდგენიათ:

უნდა დაცულ იქმნეს რა არსებული წესი პროფესორების მომზადებისა, სასურველია საპროფესორო სემინარიების დაარსება რომელიმე ცნობილ რუს-სპეციალისტების ხელმძღვანელობით ამა თუ იმ კათედრისათვის.

სემინარიებს უნდა მიეცეთ საჭირო თანხა მიზნის მისაღწევად.

როგორც ხელმძღვანელ პროფესორთა ისე საპროფესორო კანდიდატის არჩევაში გადამწყვეტი უპირატესობა უნდა ეძლეოდეს რუსებს არა მარტო ჩამომავლობით, არამედ მათი სამშობლო ქვეყნის ისტორიულად ნაანდერძევ მცნებათადმი ერთგულების მიხედვით: პასუხსაგები და დიადი საქმე მომავალი ახალგაზდობის აღზრდისა უნდა მიენდოს მხოლოდ საიმედო და მტკიცე პირებს“.

სახელმწიფო სათათბირო

დეპეშები.

როძიანკო თავმჯდომარეობს.

მის წინადადებით ფეხზე ადგომით პატივი სცეს შობის კანიკულების დროს სათათბიროს გარდაცვლილ წევრთ გუადანინს, შულცენბერგსა და სოკოლოვ მეორესა. წაიკითხეს განსახილველ საგანთა სია, სხვათა შორის, **ბობრიანსკის** განცხადება. იგი თავს ანებებს სათათბიროს წევრობას, რადგან სახელმწიფო საბჭოს წევრად დანიშნეს.

უკამათოდ მოიწონეს სამი კანონპროექტი. სხვათა შორის, საზღვარგარეთიდან ამანათისა, წერილებისა და ბანდეროლიან ამანათის შემოტანისა, რომელიც საბაჟოს ფორმალობას ამარტივებს.

კოვალევსკიმ მოხსენება წაიკითხა საკანონმდებლო მოსაზრების თაობაზე, რომელიც 1908 წლის 22 ივნისის კანონის შეცვლას ეხება. ეს კანონი თავის მხრით ეხება სასკოლო შენობის ასაგებ ფონდს. მომხსენებელი სათათბიროს ურჩევს, კანონი ისე შევცვალოთ, რომ ამ ფონდით სარგებლობა გაადვილდეს. იგი ვალის გადახდის ვადას 20 წლის მაგივრად 40 დაწესებას ამჯობინებს.

სახალხო განათლების სამინისტროს დროებითი გამგე შევიაკოვი წინაალმდეგი არ არის 22 ივნისის კანონის შეცვლისა, მაგრამ აცხადებს: ფინანსთა სამინისტროში ბრკოლდება საქმე, განათლების სამინისტრო ვერ იკისრებს ამ საკითხის დამუშავებასა და გადაწყვეტასო.

სათათბირომ საჭიროდ აღიარა კანონ-პროექტის დაწვრილებით განხილვა და კომისიას გადასცა.

განაგრძობენ ავადმყოფობისა და უბედურ შემთხვევის გამო ნაზარალევ მუშათა უზრუნველსაყოფ კანონპროექტის მესამეჯერ განხილვას.

თ-დი ვოლკონსკი თავმჯდომარეობს. მე-46—50 მუხლთა გამო ლაპარაკობს **სტეფანოვი.** იგი ემხრობა სოციალ-დემოკრატთა შესწორებას, რომელიც მოითხოვს მუშათა კასებს უფლება მიანიჭონ თვითონ განახორციელონ საექიმო დახმარების საქმე მრეწველების ხარჯით.

ტიზენჰაუზენი და **მრეწველობის ნაწილის გამგე** გადაჭრით უარჰყოფენ ყოველგვარ შესწორებას.

კენჭის ყრის დროს 74 წევრი წინაალმდეგი აღმოჩნდა შესწორებისა, 44 მომხრე. დეპუტატთა რიცხვის საკმაოდ არ ყოფნის გამო სხდომა 15 წუთით შესწყდა. სხდომის განახლებისას ყოველგვარი შესწორება უარჰყვეს.

მე-51 მუხლი ნებას აძლევს საავადმყოფოთა კასებს დახმარება გაუწიონ არა მარტო კასის მონაწილეთ, არამედ მათ სახლობასაც.

შემდეგი ნაწილი პროექტისა თითქმის შეუცვლელად მიიღეს. სურვილი გამოსთქვეს: რაც შეიძლება მეტმა ხალხმა დაიზღვიოს თავი ავადმყოფობის დროს უზრუნველსაყოფადაო. დეპუტატთა უმეტესობის დაუსწრებლობის გამო სხდომა დაიხურა 5 ს. და 3 წუთზე.

შემდეგი სხდომა 11 იანვარს მოხდება.

სახელმწიფო საბჭო

აკიმოვი თავჯდომარეობს.

სახელმწიფო მდივანი. საბჭოსა და სათათბიროსაგან მოწონებული კანონ-პროექტი ფინლანდიელების მიერ სამხედრო ბეგრის მაგიერ სახელმწიფო ხაზინაში ფულის შეტანის შესახებ უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა.

გრძელდება კამათი სასჯელთა დებულების მე-51 მუხლის გაუქმების თაობაზე. გაუქმებას მხარს უჭერენ **ტრიპოლიტოვი, მანუხინი, კრესტოვნიკოვი და ავდაკოვი.**

მუხლს **უშაკოვი** იცავს, რომელიც მასში წვრილ სამრეწველოთა გაუწრთვნელ მუშებისთვის დომოკლეს ხმალსა ჰხედავს.

კანონ-პროექტი ხმის უმრავლესობით სათათბიროს რედაქციით მიიღეს.

სახელმწიფო სათათბიროს რედაქციითვე მიიღეს საქალაქო საზოგადო ბანკების ახალ დებულებათა გამოცემის კანონ-პროექტი.

სხდომა შესწყვიტეს.

სხდომის განახლების შემდეგ საკანონმდებლო მოსაზრებათა კომისიის რედაქციით მიიღეს სტაროობრიადცების სამოქალაქო-უფლებრივ მდგომარეობის მოსაწესრიგებელი კანონ-პროექტი. რადგან კომისიის რედაქციით სათათბიროს რედაქცია შესამჩნევად შეიცვალა, კანონ-პროექტი შემთანხმებელ კომისიას გადაეცა.

სავაჭრო სასწავლებელთა შესახებ კანონ-პროექტი ისევ საფინანსო კომისიას გადაეცა, რადგანაც ბევრი ცვლილება შეიტანეს და საჭირო იყო მისი ხელახლა განხილვა.

თავჯდომარე. გასარჩევად გამზადებული საქმეები აღარ არის. ამისათვის შემდეგ სხდომისათვის უწყებით მოგიწვევთო.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **ტფ. გუბერნატორი ა. გ. ჩერნიავსკი** ტფილისში დაბრუნდა და თავის მოვალეობის აღსრულებას შეუდგა.

✦ **ქართველთა განმანათლებელ წმ. ნინოს დღესასწაული,** როგორც მკითხველებმა იციან, 14 იანვარს არის. კავკასიის ნამესტნიკმა დააკმაყოფილა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ამ დღეს ამიერ კავკასიის სასწავლებლებში მოსწავლენი სწავლისაგან განთავისუფლებულ იქმნენ.

✦ **ტფ. ტრამვაის დირექტორი ა. ე. ბელოი** მოსკოვიდან ტფილისს დაბრუნდა.

✦ **პანაშვიდი.** გუშინ ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი პეტერბურგში გარდაცვლილ ოქტომბრისტების ლიდერის ი. მილიუტინის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ სენატორი ვატაცი, ნამესტნიკის საბჭოს წევრი გაკელი, გუბერნატორი, პრესის წარმომადგენელნი და სხვანი.

✦ **შეიპყრეს** არუთინ მარქაროვი, რომელიც ადმინისტრატიულის წესით იყო გადასახლებული და თავის ნებით დაბრუნდა.

✦ **ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა** განკარგულება მოახდინა, რათა ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურენი სამსახურში აუცილებლად თავის დროზე გამოცხადდნენ, წინაალმდეგ შემთხვევაში მოსამსახურეთ სასტიკად დასჯიან.

✦ გუბერნატორმა ნება დართო, 27 მაისს ტფ. გუბერნიის **თავადაზნაურთა კრება** მოიწვიონ.

✦ ყასაბთა შორის. ყასბები კვლავ უკმაყოფილონი არიან ხორცის ახალ ნიხრით. როგორც მკითხველებმა იციან, ახალის ნიხრით გირვანქა ძროხის ხორცი 12 კაპ., ხოლო ცხვრისა—14 კაპ. ღირს. გუშინ ყასბების წარმომადგენელმა გეორგ ჯავახიშვილმა გუბერნატორთან საჩივარი შეიტანა ქალაქის გამგეობაზე. საჩივარში სწერია: გირვანქა ძროხის ხორცი ჩვენ თვითონ 14 კაპ. გვიჯდება, ხოლო ცხვრისა—17 კაპეიკადაო და ამიტომ აიძულეთ ქალაქის გამგეობა, რათა საცდელად საქონელი დაჰკლას და ახალი ნიხრი იმის მიხედვით დააწესოსო.

✦ ტფ. მეეტლენი ოცს იანვრას თავის მოურავს ამოირჩევენ.

✦ ლექტორს ტოტომიანს ქუთაისელნი სთხოვენ, იქაც გაიმეოროს ტფილისში წაკითხული თავისი ლექცია.

✦ ტფილისში ყინვა დაიჭირა. ამის გამო ქალაქის წყალსადენის მილებში ბევრგან წყალი გაიყინა.

✦ 10 იანვარს შეიპყრეს ამბარცუმ არუთინოვი, რომელიც სამხედრო ბეგარას ემალებოდა.

✦ 10 იანვარს ტფილისში 2 უპასპორტო შეიპყრეს.

საზოგადოებანი და კრებები.

✦ ტფ. ქალაქის საბჭოს კრება პარასკევს, 13 იანვარს მოხდება. საბჭომ აქ დღეს ხუთ კომისიის წევრები უნდა აირჩიოს. კრების შემდეგ განზრახულია ხმოსანთა კერძო თათბირი. მოილაპარაკებენ გამგეობის წევრთათვის ჯამაგირების მომატების შესახებ და ქალაქის გამგეობის წევრის კანდიდატებს დაასახელებენ.

სასამართლო.

✦ შუა აზიის რკინის გზაზე ნახევარ მილიონ მანეთის გატაცების საქმის გამო დაპატიმრებულნი და სასჯელ დადებულნი 10 იანვარს მეტეხის ციხიდან ტფ. ოლქის სასამართლოს დარბაზში მიიყვანეს, სადაც ეს საქმე ამ ორის თვის წინად გაირჩა. ბრალდებულთ, რომელთაც ბორკილები ედოთ და რომელნიც სასამართლოში ჯარის კაცთა გაძლიერებულ რაზმის თანხლებით იყვნენ მოყვანილნი, სასამართლოს განაჩენი (საბოლოო ფორმით) გამოუცხადეს. კაპიტანი ერმოლოვი, რომელსაც სასამართლომ 4 წლით გამასწორებელ რაზმში გაგზავნა გადაუწყვიტა, სამხედრო ფორმაში იყო, ეცვა შავი „ტუჟურკა“. განაჩენის წაკითხვამ საათ ნახევარს გასტანა. ბრალდებულებმა არ ისურვეს მთელის განაჩენის მოსმენა და მოითხოვეს მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილის მოსმენა, რაც შესრულებულ იქმნა. ყველა ბრალდებულმა განაჩენის ასლის მიღების სურვილი განაცხადა პალატაში საქმის გადასატანად. სასამართლოდან ბრალდებულნი ნაშუადღევის 3 საათზე ისევ ციხეში წაიყვანეს.

✦ ვერის დაღმართზე მომხდარ უბედურების გამო. როგორც მკითხველებმა იციან, ოლქის სასამართლომ გადაუწყვიტა ტრამვაის დირექტორად ნამყოფს კ. ბატაილს ოთხის თვისა, ხოლო ინჟინერ ა. ალექსანდრეს ექვსი თვის ციხე. ეს საქმე გუშინ წინ ტფ. სამოსამართლო პალატას უნდა გაერჩია, მაგრამ, რადგანაც ბატაილისთვის სასამართლოს უწყება ვერ ჩაუბარებიათ, სხვა დროისთვის გადაიდო.

სომეხთა ცხოვრებიდან

✦ ავ. არასხანიანს განუზრახავს კვლავ განაახლოს თვიური ჟურნალის „მურჭ“-ის (ჩაქუჩი) გამოცემა, რომელიც ამ ექვსი წლის წინად შეჩერდა.

ქუთაისი.

✦ ძალიან მხიარული „შობის ხე“ იყო გამართული ქუთაისის კათოლიკეთა სკოლაში იმ კვირას. პატარა ცქრიალა მოწაფე ბავშვები მოხდენილად კითხულობდნენ რუსულ-ქართულ ლექსებს, წარმოადგინეს ორი პატარა პიესაც, იმღერეს რუსულ-ქართულად, იცეკვეს, იმხიარულეს...

მადლობის ღირსია თაოსანი ამ „შობის ხისა“ ბ. დონ-დამიანე საკაშვილი, რომელსაც ამ სკოლაში მართლმადიდებელ ბავშვთათვისაც განყოფილება მოუწყვია. დამსწრე საზოგადოება ასიამოვნა იმ გარემოებამაც, რომ ამ სკოლის პოლონელი ბავშვები ქართულ პიესაში მონაწილეობას ღებულობდნენ და ჩინებულადაც ასრულებდნენ.

✦ წ- კ. გ. ს. ადგილობრივ განყოფილების კრებაზე, რომელიც მოხდა 8 იანვარს, დაადგინეს: გამოიცეს იაკობ ფანცხავას წიგნი „დარვინიზმი“ 2400 ცალი.

გაეგზავნოს ბიბლიოთეკებს ა. პ. წულაძის წიგნის „ფუტკარი და მეფუტკრეობის“ ოცი ცალი. ეთხოვოს ბ. წულაძეს, შეადგინოს ამ წიგნიდან მოკლე, ხალხისათვის ადვილად გასაგები წიგნაკი, რომ შემდეგ მეტი რიცხვი შეიძინოს ხალხში გასავრცელებლად.

✦ ნინო საყვარელიძეს დახმარება უთხოვია შავი ქვის საბჭოსათვის, კარგი ხმა მაქვს და კონსერვატორიაში სწავლის გაგრძობა მსურსო.

ტფილისის ფილ. საზ. სიამოვნებით აღნიშნა მისი ხმა.

✦ დეკემბერში ფოთიდან 1,238,549 ფუთი და ბათომიდან 495,740 ფუთი შავი ქვა გაიზიდა.

✦ ჩვენი დასი მომავალ შაბათს ჰფიქრობს იდღესასწაულოს ქართული თეატრის დამაარსებლის **გიორგი ერისთავის** დაბადებიდან 100 წლის თავი.

✦ ქალაქის გამგეობამ გაუგზავნა ადგილობრივ **ებრაელთა** სამლოცველოებს წერილი, შეადგინოს რაბინის თანაშემწის ამომრჩეველთა სია, რათა ქალაქის გამგეობამ დანიშნოს არჩევნების დღე.

✦ ამას წინად ქალაქის საბჭომ უარჰყო ქალაქის გამგეობის მოხსენება უძრავ **მამულების ხელახლა შეფასების** თაობაზე, როგორც გავიგეთ, გუბერნატორი არ დასთანხმებია საბჭოს დადგენილებას და საკითხი მამულების გადაფასებისა განსახილველად საქალაქო საკრებულოსათვის გადაუცია.

✦ ქიათურის შავ ქვის საბჭოს დაუმთავრებია **ეკლესის შენობა** სამოქალაქო სასწავლებელთან. ამ ეკლესიის მხატვრობისათვის ახალგაზდა მხატვარს ბ. შავარდნაძეს გადაუღია რამდენიმე სახე—სურათი ჩვენი ძველი საეკლესიო მხატვრობისა. ბ. შავარდნაძეს ამას წინადაც წარუდგენია საბჭოსათვის რამდენიმე ნიმუში თავის ნამუშევრისა, რაც ძლიერ მოსწონებიათ.

✦ გურიაში **ნავთიან ადგილების იჯარით აღებას** განაგრძობს ინჟენერი ბ. ჩხეიძე, გალიციის მინისტრის ბ. ლუგარის რწმუნებული. როგორც ამბობენ, უკვე გამოუსყიდიათ რამდენიმე ადგილი, მეტ ნაწილად თავ. გურიელებისა, და მალე საქმესაც შეუდგებიან.

✦ ბაქოს ცნობილ ფირმას—„რილსკისას“ **გურიანთაში** (გურია) ამას წინად ბურღვა დაუწყვია კიდეც. ამ ფირმას ბევრი ადგილი აქვს აღებული.

✦ გუბერნიის **ინჟენერი ბ. შტენბერგი,** მთავარმართებლის განკარგულებით დაითხოვეს. მის მაგიერ ინჟენერი **ბ. ჟდანოვი** დანიშნეს.

✦ სახაზინო და საიჯარო მამულების მესამე რაიონის უფროსის კანცელარია ქუთაისიდან 1 იანვრიდან **დ. სამტრედიაში გადაიტანეს.**

✦ ქალაქის საქიმიო ლაბორატორიაში გუშინ საანალიზოდ მოიტანეს სიმინდის ფქვილი, რომელსაც მთელი ოჯახისათვის უწყენია.

(„კოლხ“).

ზელიმ-ხანის დევნა

მთავრობამ ამ ბოლო დროს ზელიმ-ხანის შესაპყრობად სასტიკ ზომებს მიჰმართა და, სხვათა შორის, ჩაჩნების შეიჰებს, რომელთაც დიდი გავლენა აქვთ ხალხზე, გაციმბირებას უპირებს.

ნაზრანის ოლქში სცხოვრობს ღრმად მოხუცი შეიჰი **ბატალ ჰაჯი,** რომელსაც დიდი გავლენა და პატივისცემა აქვს მოპოვებული მთელს ოლქში.

ადმინისტრაციამ ბატალ ჰაჯის რუსეთში გადასახლება დაუპირა. ეს ამ დღეებში სისრულეში უნდა მოეყვანათ.

ჰაჯი ბატალს მეტად უძნელდება კავკასიის მიტოვება და იგი დეპეშით სთხოვს ნამესტნიკს; ნუ გადამასახლებთ, სამი თვე მადროვეთო. ამ სამ თვეში ჰაჯის იმედი აქვს, რომ ზელიმხანს ან ცოცხლად და ან მკვდარს წარუდგენს მთავრობას. როგორც ამბობენ, ჰაჯისთვის მიუციათ სამი თვის ვადა და იგი უკვე შესდგომია ძალოვან, გულად და მორწმუნე ახალგაზდების შეკრებას ზელიმხანის შესაპყრობად.

მოსკოვის სახალხო ბანკის განყოფილება ჩვენში.

ბ. ტოტომიანცის წინადადებას სახალხო ცენტრალურ ბანკის დაარსების თაობაზე დამსწრე საზოგადოება და მათ შორის ქართველობაც დიდის თანაგრძნობითა და აღფრთოვანებით შეჰხვდა. ბევრმა ამათგანმა თანაგრძნობით აღსავსე სიტყვა წარმოსთქვა კრებაზე და მადლობა უძღვნა ტოტომიანცს: ამასთანავე ეს თანაგრძნობა მხოლოდ ჩვეულებრივის ქართველურის ლაპარაკით არ განსაზღვრულა და ამ შემთხვევაში არ მოისურვეს ბაქოს ცნობილ ქართველ ქველმოქმედ კაპიტალისტისაგან ჩამორჩენა; ბ. ტოტომიანცს პირველად ამ ბანკის თაობაზე ლაპარაკი ბაქოს კაპიტალისტებთან ჰქონოდა და იქ დამსწრე საზოგადოებას შეეძინა 25,000 მანეთის პაი, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ განყოფილება გახსნილიყო ტფილისში. ამ ფულში 5,000 მან. მხოლოდ ბ. მანსვეტაშვილს გადაუცია, რაც, როგორც თვით ბ. ტოტომიანცმა ხაზ გასმით აღნიშნა, აიხსნება მხოლოდ მანსვეტაშვილის საქმისადმი დიდის თანაგრძნობით, მომხსენებლის სიტყვით, იმდენივე რაც ბაქოელებს მიუცია, საჭიროა გამოიღონ ტფილისელებმაც აქ განყოფილების გასახსნელად, ესე იგი 25,000 მან. და აი აქ დამსწრე საზოგადოებამაც გადასწყვიტა აუცილებლად სხვამ რომ არაფერი არ მისცეს მათ მაინც შეასრულონ საჭირო თანხა.

ასეთი გადაწყვეტილება ქართველებისა, რასაკვირველია, გამოწვეულია მათი თანაგრძნობით იმ გვარ სიმპატიურ და ჩვენი ხალხისთვის სასარგებლო, მათის აზრით, საქმისადმი, როგორიც არის გახსნა სახალხო ბანკისა. ასეთი საქციელი მხოლოდ საქებურად უნდა ჩაითვალოს რომ, ჩემის აზრით, ამ ბანკის მნიშვნელობას არ აზვიადებდნენ. მართლაც, აბა, დინჯად ჩავუკვირდეთ საქმეს და ვიკითხოთ: არის თუ არა ამ ბანკის დაარსება დღეს დღეობით ასეთი საჭირო რამ და თუ არის, შეიძლებოდა თუ არა სხვა ფრივ საქმის მოვლა? ამ კითხვებზე, ჩემის აზრით, უფრო სხვა პასუხი შეიძლება გავცეთ, ვიდრე დამსწრე ქართველობამ, გასცა და აი რატომ:

ტფილისში სახალხო ბანკის დაარსებამ იმიტომ გამოიწვია დიდი თანაგრძნობა, რომ იგი უმთავრეს მიზნად ისახავს კოოპერატიულ დაწესებულებათა დახმარებას, თუმცა, უნდა შევნიშნოთ, რომ მისი წესდება არაფრით არ განირჩევა ჩვეულებრივ სააქციონერო საზოგადოებათა ფართო წესდებისაგან და მისი საქმის წამართვა დამოკიდებული იქნება ბანკის სათავეში მდგომთაგან.

კოოპერატიულ დაწესებულებათა შორის ჩვენში ფეხი აქვს მოკიდებული და ეხლა იწყებს აღორძინებას მხოლოდ ერთ სახე კოოპერატივებისა, სახელდობრ წვრ. კრედ. ამხანაგობებს; ამ ამხანაგობებისთვის, რასაკვირველია, საჭიროა დახმარება, რადგანაც სახელმწიფო ბანკის მიერ მიცემული თანხა ძლიერ მცირეა; იგი მეათედათაც ვერ აკმაყოფილებს მათს მოთხოვნილებას. მაგრამ, ეს დახმარება უნდა გამომდინარეობდეს არა ცენტრალურ ბანკიდან, არამედ სხვა წყაროდან და თანაც ისე რომ იგი არ ახშობდეს თვით მოქმედების უნარს, არამედ ანვითარებდეს: ასეთ წყაროდ უნდა ჩაითვალოს საკრედიტო ამხანაგობათა კავშირი და ამ კავშირის კასსა.

თუ გადავხედავთ კოოპერატიულ მოძრაობას სხვა ქვეყნებში, დავინახავთ, რომ ცენტრალურ ბანკებს წინ უძღოდა ამხანაგობათა კავშირი და მხოლოდ როცა ეს კავშირები ვერ აკმაყოფილებდნენ საჭიროებას, მხოლოდ მაშინ არსდებოდა ცენტრალური ბანკები; ესევეა რუსეთში. აქ ან უკვე არსებობს ამხანაგობათა კავშირები, ან მათს მაგიერობას უწევს ერობები. ჩვენში კი ჯერ არც ერთია და არც მეორე და პირდაპირ ცენტრ. ბანკის დაარსება მხოლოდჩაჰკლავს ამხანაგობებში უნარს თვითმოქმედებისას რაკი მათ მზა-მზარეულად მიერთმევა საჭირო ფული; ეს მოვლენა მით უმეტეს საგრძნობია და, რომ ჩვენი საკრედიტო ამხანაგობანი თავათ პირველშივე იღებენ სახ. ბანკიდან სათადარიგო თანხას. მაგრამ იტყვიან, ვიდრე პეტრე მოვიდა, პავლეს ტყავი გააძრესო; ვიდრე კავშირები დაარსდება საკრედიტო ამხანაგობებს უსახსრობით სული ამოსძვრებათო. ამაზედ მოვახსენებთ: კავშირების დაარსების, სურვილი უკვე არსებობს საკრედიტო ამხანაგობათა შორის, ნათლად აღნიშნეს შარშან ამხანაგობათა წარმომადგენლებმა ტფილისში თებერვლის კრებაზე. თუ დღემდის ვერ მოხერხდა ეს საქმე, მხოლოდ იმიტომ რომ კავშირების წესდება არ იყო დამტკიცებული, დღეს კი როგორც თვით ბ. ტოტომიანცმა სთქვა, ეს დამაბრკოლებელი გარემოება აღარ არსებობს, რადგანაც წესდება დამტკიცდა.

ამითი, რასაკვირველია, იმისი თქმა არ მინდა, რომ ასეთი დაწესებულება, როგორიც არის სახალხო ბანკი საერთოდ მეტი იყვეს; მე მხოლოდ დღეს-დღეობით ნაადრევად მიმაჩნია, შემდეგ კი იგი აუცილებლად საჭირო შეიქნება. ამ შემთხვევაშიაც თავისუფლად შეგვიძლიან გვერდი ავუარიათ მოსკოვის სახალხო ბანკს და მის განყოფილებას ტფილისში, თუ კი რასაკვირველია, პატარა გავინძრევით, მივიხედ-მოვიხედავთ და სულ სხვის იმედით არ ვიქნებით; ყველამ ვიცით, რომ თითქმის ყველა მაზრებში არსებობენ საურთიერთო ნდობის სამეურნეო ბანკებს; ამ ბანკებს როგორც უფრო ახლო მდგომებს, სოფლის საკრედიტო დაწესებულებებთან, ბევრად უკეთესი დახმარება შეუძლიანთ გაუწიოს ვიდრე მოსკოვიდან მოვლენილ ბანკს, მხოლოდ საჭიროა მათი თანხის გადიდება და მოქმედების განცხოველება. თუ იკითხავთ-საიდან, მოგახსენებთ: ჯერ ერთი ის ფულები, რომელიც განზრახულია ქართველების მიერ მოსკოვის ბანკისთვის, შეიძლება უფრო მეტის სარგებლობით წვ. კრედიტისა და საერთოდ კოოპერატიულ დაწესებულებათა გადაეცეს ადგილობრივ საურთიერთო ნდობის ბანკებს მათის თანხის გასაძლიერებლად. ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ თავად-აზნაურობას კარგა ბლომად აქვს ეგრედ წოდებული სასოფლო სამეურნეო თანხა; მარტო ამ თანხიდანაც შეიძლებოდა ცალკე ბანკის დაარსება, რომ მოვისურვოთ. ერთი სიტყვით, როგორც ხედავთ, საჭირო თანხა ადვილი საშოვნელია მხოლოდ საჭიროა ჩვენ დავანებოთ სხვის იმედებით ცხოვრებას, საჭიროა ჩვენვე შევიქნათ ჩვენივე ცხოვრების ჩარხის დამბრუნებელი, იმ შემთხვევაში მაინც, როდესაც შესაძლებელია ჩვენვე ჩვენივე ძალით გავაკეთოთ რამ, სხვისკენ არ ვიცქირებოდეთ და სხვებს არ ვეკედლებოდეთ. ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა პოლონელების მოქმედება, რომელთაც უკვე შეჰქმნეს თავიანთი საკუთარი სახალხო ეროვნული ბანკი და მოსკოვის სახ. ბანკიდან არც ერთი პაიც არ შეუძენიათ.

მროველი.

მოგონება

მ. საფაროვ-აბაშიძის ქ. თელავში საგასტროლოთ ჩამოსვლა 1888 წ.

რა კარგია წარსულის გახსენება, თუ იგი სასიამოვნო გრძნობას აღძრავს გულში, დაგატკბობს. ასეთი სასიამოვნოა ჩემთვის მოგონება მ. საფაროვ-აბაშიძის ქ. თელავში საგასტროლოთ ჩამოსვლისა.

იმ ხანად მისი სახელი მთელს საქართველოში იყო მოფენილი. ეს მოვლენა არც თელავის საზოგადოებისათვის დარჩებოდა შეუმჩნეველი. ამიტომაც თელავის ინტელიგენცია მ. მ. საფაროვ-აბაშიძისას აღტაცებით მიეგება.

პირველად დასდგა „ცხოვრები თანამოგზაური“ ალ. ყაზბეგისა დ რ. ერისთავის ერთ მოქმედებიან კომედია „ბიძიასთან გამოხუმრება“

რა არის მშვენიერება?

(ესთეტიურ-ფსიხოლოგიური ნარკვევი).

1.

სილამაზის საკითხი, რომლის პრინციპების გამოკვლევა და განხილვა ჩვენ ამ წერილებში გვაინტერესებს, გრძნობათა სფეროს ეხება. ამიტომ, სანამ პირდაპირ ჩემი ნარკვევის საგანზე გადავიდოდეთ, რამოდენიმე აზრს საზოგადოდ გრძნობების შესახებ გამოვთქვამ.

ყოველივე გრძნობის დამახასიათებელ, ნიშნობლივ თვისებას სიამოვნებისა ან უსიამოვნების ელფერი შეადგენს. ჩვენ ვსიამოვნობთ იმ შემთხვევაში, თუ ის მოვლენა, რომლის გავლენის ქვეშ ამა და ამ დროს ვიმყოფებით, რაიმეს ჰმატებს ჩვენს ჯანმრთელობას და აძლიერებს ჩვენს სასიცოცხლო ძალას. სიამოვნების გრძნობა ხშირად შეუგნებელი, მაგრამ უმაღლესი სანქციაა ნერვიულ სისტემის მხრივ, უმაღლესი დადასტურებაა იმისა, რომ ესა და ეს ფიზიოლოგიური აქტი, ლტოლვილება და სხვა ჩვენი სხეულისათვის სასარგებლოა და სასურველიც. იმ შემთხვევაში, თუ ხსენებულ მოვლენის მოქმედებამ უფრო ხან-გრძლივი და უფრო ძლიერი გავლენა იქონია, ვიდრე ეს ჩვენთვის საჭირო და სასარგებლო იყო, არა სასიამოვნო გრძნობას და მასთან შეკავშირებულ ტანჯვას განვიცდით. ვთქვათ, წყურვილსა ვგრძნობთ და ვწუხართ, ეს იმას ნიშნავს, რომ ორგანიზმს წყალი მოაკლდა და თავის საჭიროებას გვატყობინებს; ჩვენც, რასაკვირველია, სხეულის მოთხოვნილებას ვიკმაყოფილებთ, და ჩვენს ბუნებას იცავს საამური გრძნობა წყურვილის მოკვლისა. უკეთუ წყალი მეტი დავლიეთ, ვიდრე ეს საჭირო იყო, ხელახლა უსიამოვნო გრძნობა გვაწუხებს. უკანასკნელი ჩვენი ფსიხიკის უარყოფითი მსჯავრი და განაჩენია ამა თუ იმ სულიერ მდგომარეობას, ამა თუ იმ ფიზიოლოგიურ აქტის შესახებ.

თანამედროვე ბუნების-მეტყველება საზოგადოდ, და ფიზიოლოგია კერძოდ, გვეუბნება, როგორც ბუნების ყოველივე ნაწილი, ისე ადამიანის ორგანიზმიც სხვა და სხვა გვარად გამოხატულ ენერგიის ჯამს შეიცავსო, რადგან ორგანიზმი და გარემოცული წრე მუდმივ ურთიერთობაშია გართული, ამიტომ ენერგიის რაოდენობაც ჩვენს სხეულში მუდმივ რყევაშია, იგი ხან მატულობს და ხან კი კლებულობს. თავის-თავად ცხადია, ყოველივე ამასთან მაინც არსებობს დაახლოვებით ერთგვარი განსაზღვრული ნორმა, რომლის დროს ჩვენი მრავალ-ნაირი მოთხოვნილებანი უკედ არიან დაკმაყოფილებულნი. იმ მომენტში, როცა ჩვენი სხეულის ენერგია ამ ნორმას ძლიერ შორდება, უსიამოვნო გრძნობას განვიცდით: ა) ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ, როდესაც ბევრი ძალა დავხარჯეთ და, მაშასადამე, ნორმაზე ძალიან დაბლა ჩამოვედით, ჩვენი ტანი მოქანცულობას ჰგრძნობს და იტანჯება; ბ) ასევეა მაშინაც, როცა, მაგალითად, მთელი დღეობით და კვირაობით არაფერი გაგვიკეთებია, სხეულში თავ-მოყრილ ენერგიის რაოდენობამ ერთი ორად და სამად იმატა; ამგვარად, ნორმაზე მაღლა ავედით. ერთი სიტყვით, უსიამოვნო გრძნობას იწვევს ერთი მხრით ენერგიის გადაჭარბებული, უთავ-ბოლო გაფლანგვა, მეორე მხრით მისი ჩვენს სხეულში ნორმაზე მეტი მოგროვება, დაგუბება, მოჭარბება. პირ-იქით, სიამეს გვგვრის და გვატყობინებს, როგორც ნორმალურ, საჭირო ენერგიის აღდგენა, ისე ამ ენერგიის ეკონომიურად და წესიერად დახარჯვა.

ასეთია ის **სუბიექტური** პირობები, რომლებიც ჩვენს ტანში სიამოვნებისა და უსიამოვნობის გრძნობებს იწვევს.

რა და რა მიზეზები აჩენს ჩვენში სასიამოვნო სულის მდგომარეობას **ობიექტურად**?

უპირველესად ყოვლისა სიამეს ჩვენ ფიზიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დროს განვიცდით. ამგვარ მოთხოვნილებებს ეკუთვნის შიმშილი, წყურვილი, სიცივე-სიცხე, სქესობრივი ინსტინქტი და სხვ. იმ საგნებს, რომლებიც ჩვენი სხეულის ამ საჭიროებებს აკმაყოფილებს, სასარგებლოს სახელით ნათლავენ, ხოლო მათ მიერ გამოწვეულ სიამოვნებას უტილიტარისტულს ეძახიან.

შემდეგ, — სიამოვნება შეიძლება ინტელექტუალური იყოს. იგი თან ახლავს ჩვენი ცნობის-მოყვარეობის დაკმაყოფილებას. ყველა იმ ობიექტებს, რომელთანაც ჩვენ აქ საქმე გვაქვს, საინტერესოს ვუწოდებთ.

მესამეთ,—არის შემთხვევა, როცა ადამიანი არც ერთ ზემო-ჩამოთვლილ მოთხოვნილებას არ იკმაყოფილებს, მაგრამ მაინც საამო გრძნობას განიცდის. ამ გვარ სიამოვნებას **მშვენიერების** გრძნობას ანუ **ესთეტიურ სიტკბოებას** უხმობენ, ხოლო იმ საგნებს, რომლებიც ამ ესთეტიურ განცდას იწვევს, **ლამაზი** ანუ **მშვენიერი** ეწოდება.

ჩემს-მიერ მშვენიერების ეხლა-ხან მოყვანილი განმარტება უარყოფით განსაზღვრას წარმოადგენს. საჭიროა, საკითხი დადებითი მხრითაც განიხილოს.

2.

რა არის სილამაზე?

ამ კითხვაზე თავს იტეხდნენ ჯერ კიდევ ძველი ფილოსოფოსები, მაგრამ სილამაზის მეცნიერული ახსნა უნაკლულოდ დღემდე ვერ შესძლო ვერც ერთმა გამოჩენილმა მოაზრემ. რაც უნდა მოხდენილად და მარჯვედ გადასჭრას ეს საკითხი, მაინც მისი პასუხი ყველა კითხვებზე ვერ უგებს, მაინც მის განსაზღვრაში ჭუჭრუტანები და კუნჭულები რჩება, რომელთა ამოვსება არც თუ ისე ადვილია. ზოგს, ერთი მხრით, ძველ დროიდანვე ანცვიფრებდა ესთეტიური გრძნობის ძლიერება და სიღრმავე, აოცებდა ის გარემოება, რომ მშვენიერებას თითქმის საყოველთაო გავრცელება აქვს. აქედან წარმოსდგა სილამაზის მეტაფიზიკურ არსად, განყენებულ მოვლენად აღიარება. როცა საულს, ებრაელთა მეფეს, გულს კაეშანი შემოაწვებოდა, იგი თავის სასახლეში ახალ-გაზდა დავითს დაიბარებდა და ქნარზე დააკვრევინებდა, თურმე. ღვთიური მუსიკა მეფეს ხიბლავდა, მის დაავადებულ გულს მალამოდ ედებოდა, საული წელში იმართებოდა, ავ დემონს თავიდან იშორებდა და ამგვარად დიდ შვებას ჰპოულობდა. პლატონ ფილოსოფოსის გადმოცემით, ნაირ-ნაირ საკრავების ხმებით და ცეკვა-თამაშით არჩენდნენ თურმე ეშმაკეულის მიერ შეპყრობილთ და მათ საზარელ კონვულსიებს ბოლოს უღებდნენ. ბევრ გამოჩენილ ექიმის აზრით, ერთი ორად უკეთესია, თუ ბავშს ლამაზი ძიძა ან ლამაზი გამდელი ჰყავს. ბიჭუნა უფრო ხშირად კარგს, მხიარულ გუნებაზე არის, ნაკლებად სტირის, ხოლო მეტს იღიმება და იცინის; სულის ასეთი განწყობილება საბოლოოდ ხელს უწყობს სუნთქვის, სისხლის ბრუნვა-ტრიალის და დანარჩენ მთავარ ფუნქციების ნორმალურ მიმდინარეობას.

გავიხსენოთ ცხოველებიც. ხშირად უნახავთ, რომ საოცარი სიხარბით და გულ-მოდგინებით უსმენდნენ მუსიკის ხმებს აღტაცებაში მოსულნი, თავ-მაღლა აწეულნი, სულ-განაბულნი და მთელ თავიანთ სიგრძე-სიგანეზე გაჭიმულნი გველ-ხოკერები, ინდოეთში ზოგიერთი ჯიშის გველები სალამურის ხმაზე თავდავიწყებაში შედიან, ხვრელებიდან გარედ მოძვრებიან და ათასნაირი კლაკვნა-გრეხით თავისებურად ცეკვავენ. მუსიკის მხეცებზე გავლენა კარგად ესმოდა ჯერ კიდევ რომაელთა პოეტს ოვიდიუს ნაზონს:

> Carmine… tali silvas auimosque ferarum
> Theicius vates ex saxa sequentia ducit. *)

(ფრაკიელი მგოსანი თავისი სიმღერით ტყეებს, კლდეებს და ნადირებს იტაცებს).

მკითხველს მსგავსი ადგილი „ვეფხის-ტყაოსნიდანაც“ ემახსოვრება:

> რას ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან;
> მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან;
> ისმენდიან, გაკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან;
> იმღერს ლექსთა საბრალოთა, ღვარისაებრ ცრემლნი სდიან.

თავის შესანიშნავ შრომაში „ადამიანის წარმოშობა და სქესობრივ შერჩევა“ ჩარლზ დარვინმა აუარებელი მასალის მეოხებით ნათლად დაგვიმტკიცა, რომ მშვენიერებას და მასზე აგებულ მოწონება-დაგმობას ცხოველთა სამეფოში (ადამიანებში ხომ მით უმეტეს) დიდი გასავალი აქვს. ოჯახური ბედნიერებ წილად მხოლოდ იმას ჰხვდება, ვინ ბუნებისაგან ფიზიკური ძალ-ღონი ან ლამაზი გარეგნობით ან გალობი ნიჭით უკედ არის დაჯილდოვებული. მამლების მხრით ყოველ-გვარ ზიძგებია მიღებული, რომ უცოლო არ დარჩნენ, ყოველ-გვარი საშუალება, უბრალო კოხტაობა-არშიყობიდან დაწყებული და თავის მეტოქეებთან სამკვდრო-სასიცოცხლ ომით გათავებული... ამერიკის ზოგიერთ ჭაობებში მამალი ბაყაყებ ისე საამურად ყიყინებენ, რომ მათ კონცერტით არა თუ მგალობელთ მეუღლეები—დედალი ბაყაყები, მაღალ-განვითარებულ ადამიანის სმ ნაც სტკბება თურმე **). აქვე უნდ შევნიშნოთ, რომ ხსენებულ სამ ფოში მშვენიერი სქესის მოხიბლ ყოფნა არ ყოფნის საკითხს შეადგენ ვინაიდან ბაყაყები და მასთან ერთა გომბიონიც თუმცა ცივი სისხლი მაგრამ, სამაგიეროდ, ცხელი „ტე პერამენტის“ მექონენი არიან; ხშირა მაგ., უნახავთ დედლის გვამი, მ მლების—მიერ წრეს-გადასულ ხვევნ კოცნისაგან სიცოცხლეს გამოსალ მებული.

გულ-გრილად სილამაზეს ვ უყურებენ არა თუ ძუძუ მწოვარ და ფრინველები, არამედ თევზებ ქვეწარმავალნი, და სხვანი.

ადამიანს შემდეგ, ფრინველე ყველაზე უფრო აქვს მშვენიერებ

---

*) იხ. ოვიდიუს ნაზონი, ორფეუსის სიკვდილი, 1—2.

**) Ч. Дарвинъ. Происхожденіе чел и половой подборъ XII თავი.

მასთან მონაწილეობას იღებდნენ ქ. მ. რუსიევი. ბ. ბ. ალ. ყაზბეგი, ნ. ჯორჯაძე, დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე და სხვანი.

ენით გამოუთქმელია ის სიამოვნება, როგორიც მ. მ. საფაროვ-აბაშიძისამ გამოიწვია მოხდენილის თამაშით.

მაშინ 15-16 წლისა ვიქნებოდი. ისე გამიტაცა მისმა ცქრიალა თამაშმა, ტკბილმა, მხიბლავმა ხმამ, მომაჯადოებელმა სიმღერამ, რომ მის მეტი იმ დროს არა მახსოვდა რა და გადავწყვიტე როგორმე ახლოს მენახა, თუმცა არ ვიცოდი ეს სურვილი როგორ გამეხორციელებინა.

ნატვრაც მალე ამისრულდა.

საღამო ხანს ჩემსა მოვიდა ანნა ივანეს ასული ვოლოხოვისა—თელავის წმიდა ნინოს ქალთა სასწავლებლის თავმჯდომარე და მითხრა:

— „აბა, ტასო! ერთი სათხოვარი მაქვს და უარი არ მითხრა. ჩვენი სასწავლებლის სასარგებლოდ წარმოდგენას ვმართავთ ძ. მ. საფაროვ-აბაშიძის მონაწილეობით,—„ხანუმას“ დავდგამთ და სონას როლი შენ უნდა ითამაშოო.

იმ დროს თელავში სცენის მოყვარე ქალი სანთლით საძებნელი იყო, რადგანაც სცენაზე გამოსვლა სათაკილოდ მიაჩნდათ; პირადად ჩემი მშობლებიც ასეთივე აზრისანი იყვნენ, მაგრამ მე მაინც სიამოვნებით განვუცხადე თანახმობა.

ვითამაშეთ „ხანუმა“, „დატრიალდა ჯარა“, „ხათაბალა“, „გემრიელი ლუკმა“ და სხვა. ყველა წარმოდგენაში დიდს აღტაცებას და ვაშას იწვევდა მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა, რისთვისაც თელავის საზოგადოებამ უღრმესი პატივის ცემით და მადლობით გამოისტუმრა ქ. ტფილისისაკენ.

ტასო გამყრელიძისა.

იაპონური ზღაპრები

უქი-ონნა

(იაპონური ზღაპარი)

ლაფკადიო ჰიორნისა.

მუსაშის ძაზრის ერთ სოფელში სცხოვრობდა ორი შეშის-მჭრელი. ერთს ერქვა მოსაქუ, მეორეს—მინოქიჩი. მოსაქუ უკვე მოხუცებული იყო, მინოქიჩი კი, იმისი თანაშემწე, ახალგაზდა—18 წლისა. ყოველ დღე ისინი ერთად მიდიოდნენ ტყეში, რომელიც სოფლიდან ესე ხუთ ალაჯის (მილის) მანძილზე იყო. გზად ერთ მდინარეში უნდა გასულიყვნენ ხოლმე ნავტიკით. ბევრჯელ გააკეთეს ხიდი ამ მდინარეზე, მაგრამ ყოველთვის წყალი იტაცებდა. რაკი მდინარე მოვარდებოდა ხოლმე, ვერც ერთი ხიდი ვერ უმაგრდებოდა.

ერთხელ მოსაქუს და მინოქიჩის, შინ რომ ბრუნდებოდნენ, გზაში ნამქერი ამოუვარდათ. ძალიანა ჰყინავდა. რის ვაი-ვაგლახით მიახწიეს მდინარის პირს, მაგრამ მენავტიკე ვერ იპოვეს. ნავტიკი კი მეორე ნაპირს დაეტოვებინა. წყალში გაცურვაც ამისთანა ამინდში შეუძლებელი იყო. მგზავრებმა თავი მენავტიკის ქოხს შეაფარეს და ღმერთს მადლობასა სწირავდნენ ამისთანა თავსაფრისათვისაც. ქოხში კერა არ იყო და ცეცხლის ანთება არსად შეიძლებოდა. ქოხი პატარა იყო, ორი ადამიანი ძლივს მოთავსდებოდა და ერთი კარის მეტი არაფერი ჰქონდა. მოსაქუმ და მინოქიჩიმ ჩაჰკეტეს კარი, დაწვნენ და ზევიდან ჩალის საწვიმო წამოსასხამი დაიხურეს. პირველად ყინვის სუსხს აგრე რიგად არა ჰგრძნობდნენ და ეგონათ, ნამქერი მალე ჩადგებაო.

მოხუცს მაშინვე დაეძინა, მინოქიჩის კი დიდ-ხანს ვერ მოეხუჭა თვალი. ის ყურს უგდებდა ქოხის გარშემო როგორ დაწუწუნ-დატრიალდებოდა ნამქერი, თოვლის ნაფორტლებს როგორ აყრიდა კარს და ტყაპატყუპი გაჰქონდა. ქარი ღრიალებდა. ქოხს კრაჭი-კრუჭი გაჰქონდა, ხან ისე გადაწვებოდა, ხან ასე, როგორც სუბუქი ნავი შუა ზღვაში. საშინელი ქარ-ბუქი იდგა, ყინვა თანდათან უჭერდა. მინოქიჩი წამოსასხამის ქვეშ ძაგძაგებდა, მაგრამ ბოლოს მაინც ჩაეძინა.

ყმაწვილს გამოეღვიძა, რადგანაც სახე თოვლით სავსე ჰქონდა. თითქოს ვიღასაც ძალით გაეღნიოშებია კარი. თოვლის მკრთალ ნათელზე (უქი-აკარი) მან დაინახა ერთი ქალი თეთრებში გამოხვეული. ქალი დახრილიყო და მოსაქუს სახეში უბერავდა. იმისი ორთქლი თეთრ ოშხივარსა ჰგავდა. ქალი მოტრიალდა და ახლა მინოქიჩისაკენ დაიხარა. მინოქიჩის უნდოდა დაეყვირა, მაგრამ ენა ჩაუვარდა. თეთრი ქალი უფრო დაბლა-დაბლა იხრებოდა, მისი სახე თითქმის შეეხო ყმაწვილს. მინოქიჩიმ დაინახა როგორი ლამაზი იყო ქალი, მაგრამ თვალები საშინელი ჰქონდა. რამდენიმე წამს ქალი მას გაშტერებით ჩასცქეროდა, მერე გაიღიმა და ჩასჩურჩულა:

— მინდოდა შენთვისაც ისე მექნა, როგორც მოხუცს ვუყავი, მაგრამ მეცოდები. შენ ჯერ ეგრე ჯეელი ხარ... ლამაზი ხარ, მინოქიჩი... ხელს არ გახლებ... მაგრამ თუ როდისმე უამბობ ვისმე, თუნდ მშობელ დედასაც, რაც ამ ღამესა ჰნახე აქა, გავიგებ და სიკვდილს ვეღარ გადაურჩები... დაინახსოვრე ესა!..

ქალი ქოხიდან გამოვიდა. შიშის ზარმა რომ გაუარა, მინოქიჩი წამოხტა და გარედ გამოვარდა. ქალი არსადა სჩანდა, გაჰქრა... ღია კარებში თოვლს აყრიდა. მინოქიჩიმ სწრაფად მიხურა კარი და შეშა მიაწყო. ის ვერ გარკვეულიყო, რაში იყო საქმე.—ვითომ ქარმა არ გააღო კარი? ვითომ ყველაფერი სიზმარი არ იყო? თეთრ ტანისამოსიან ქალად თოვლი ხომ არ მომეჩვენა? ეკითხებოდა ის თავის თავსა. მინოქიჩიმ ხმა მისცა მოსაქუს. მოსაქუ სდუმდა. მინოქიჩის უფრო შეეშინდა. ბნელაში მოხუცს სახეზე ხელი მოუფათურა. სახე ყინულივით ცივი ჰქონდა. მოსაქუ გაყინულიყო და მომკვდარიყო.

განთიადისას ნამქერი ჩადგა. მზე ამოვიდა. მალე მენავტიკეც დაბრუნდა შინა და ნახა, რომ მინოქიჩი უგრძნობლად იდო მოსაქუს გაცივებულ გვამის გვერდით. მან ყმაწვილი მალე მოიყვანა გრძნობაზე, მაგრამ იმ საშინელ ღამის შემდეგ მინოქიჩის კიდევ დიდხანს აცივ-აცხელებდა. მოხუცის სიკვდილმა ის ძალიან შეარყია, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს არავისთან თეთრ ქალზე. ციებ-ცხელებამ რომ თავი დაანება მინოქიჩ კვლავ შეუდგა თვის საქმეს. ყოველ დილას მარტოკა მიდიოდა ტყეში და მობინდებისას შიშით დაზურგული ბრუნდებოდა თავის მოხუც დედასთან.

⁂

გავიდა ერთი წელიწადი. ზამთარი იყო ისევ. ერთხელ მინოქიჩი ტყიდან შინ რომ ბრუნდებოდა, გზაში ერთ ახალგაზრდა ქალს წამოეწია. ისიც იმავე გზით მიდიოდა. ქალი ტანმოსული იყო, ლამაზი. მინოქიჩიმ სალამი მისცა. ქალმა სალამზე უპასუხა. მისი ხმა ისეთი ტკბილი იყო, ვით ჩიტის გალობა. მინოქიჩი გამოჰყვა ქალს. დაელაპარაკა. ქალწულმა უთხრა, რომ ჩემი სახელი ო-უქია[1]), ეხლახანს დავობლდი და იედოში მივდივარ ღარიბ ნათესავებთან, მოსამსახურის ადგილს შემპირდნენო. მინოქიჩის ის ძალიან მოეწონა. რამდენიც უფრო უყურებდა ო-უქის იმდენი უფრო ლამაზი ეჩვენებოდა. მინოქიჩიმ ჰკითხა დანიშნული ხომ არა ხარო. ო-უქიმ მიუგო თავისუფალი ვარო, თან გაეცინა. ესევე ჰკითხა ო-უქიმაც თავის მხრივ მინოქიჩის. მან უპასუხა, რომ თუმცა სარჩენი მხოლოდ დედა მყავს, მაგრამ „საპატიო რძლის“ შესახებ საკითხი ჯერ არ აღგვიძრავს ერთმანეთში, რადგანაც მე ჯერ ასე პატარა ვარო. ამ ლაპარაკის შემდეგ რამდენიმე ხანს ჩუმად მიდიოდნენ, მაგრამ ანდაზაა: „ქი ღა არება, მე მოქუჩი ჰოდო ნიმონო უოიუ“, ე. ი. „როცა სურვილია, თვალებიც ისევე ლაპარაკობენ, როგორც პირიო“. სოფლამდე მინოქიჩი და ო-უქი უკვე დამმობილდნენ. მინოქიჩიმ სთხოვა უქის, ჩვენსა შეისვენეო. პატარა ყოყმანის შემდეგ ო-უქი დაჰყაბულდა. დედა მიეგება ორივეს და ვახშამი მოუმზადა. ო-უქი ისეთი მომხიბლავი რამ იყო, ისეთი საყვარელი, რომ მინოქიჩის დედას უცებ შეუყვარდა და სტუმარი აღარ გაუშვა, იედოში წასვლა გადაადებინა. ბოლოს ო-უქი, რასაკვირველია, იედოში აღარ წასულა და იქ დარჩა „საპატიო რძლადა“.

⁂

მშვენიერი რძალი იყო ო-უქი. ხუთი წლის შემდეგ, როცა მინოქიჩის დედა კვდებოდა, ძალიან ემადლიერებოდა რძალსა და მისდამი სიყვარულით აღსავსე იყო იმისი უკანასკნელი სიტყვა. მინოქიჩისა და ო-უქის ეყოლა ათი შვილი—ვაჟები და ქალები. ყველა ძალიან ლამაზი და არაჩვეულებრივი თეთრი იყო.

სოფლელებს ო-უქი საკვირველ ადამიანად მიაჩნდათ. ის მათ არა ჰგავდა. გლეხის ქალები ადრე ბერდებიან, ო-უქი კი ათი შვილის შემდეგაც კი ჰგავდა ახალგაზრდასა და ქორფასა, როგორიც იყო იმ დღეს, როცა მინოქიჩის პირველად შეხვდა ტყეში.

⁂

ერთხელ საღამოთი ო-უქი იჯდა და ქაღალდის ფარნის შუქზე საკერავსა ჰკერავდა. ბავშვებს ეძინათ. მინოქიჩი ცოლს დიდხანს შეჰყურებდა.

— გიცქერი, შუქზე რომ ჰზიხარ და ჰკერავ, უთხრა მან ბოლოს, და ერთი საოცარი ამბავი მაგონდება... დიდი ხანია მას აქეთ. მაშინ თვრამეტი წლისა ვიყავი... ერთი ქალი ვნახე მაშინა, ეგრევე თეთრი და მშვენიერი, როგორც შენა,—დიახ, ის შენ ძალიანა გგავნდა...

— მოდი აბა მიამბე იმაზე, სადა ნახე? ჰკითხა ო-უქიმ, თან მუშაობას განაგრძობდა.

მინოქიჩიმ უამბო იმ საშინელ ზამთრის ღამეზე, მდინარის პირზე რომ გაატარა ქოხში, უამბო, როგორა ნახა თეთრი ქალი, როგორ უღიმოდა ის ქალი და დახრილი როგორ საალერსო სიტყვებს ჩასჩურჩულებდა მასა, უამბო მოსაქუ ჩუმად როგორ მოკვდა...

— ცხადლივ იყო ის თუ სიზმარში იყო—არ ვიცი, უთხრა მინოქიჩიმ ცოლს, მაგრამ შენს მეტი ისეთი მშვენიერი ჩემს სიცოცხლეში არავინ მინახავს. რასაკვირველია, ის ამ ქვეყნიური ქმნილება არ იყო,—მე მეშინოდა იმისი, ძალიან მეშინოდა, მაგრამ ის ისეთი თეთრი იყო... აქამდინაც არ ვიცი, სიზმარი იყო ის თუ არა, თოვლის ქალი, უქი-ონნა იყო თუ სხვა ვინმე...

ო-უქიმ ძირს გადისროლა საკერავი, წამოხტა ზეზე, მივარდა მინოქიჩითან, დაიხარა და გაცეცხლებული დაუყვირა:

— ის მე ვიყავ მე, მე, მე! ის უქი იყო! უქი! გითხარი მაშინ რომ მოგკლავ თუ როდისმე წაგცდება ამაზე მეთქი... ეხლავე მოგკლავდი, მძინარე ბავშვები რომ არ მეცოდებოდეს! ეხლა მთელი შენი სიცოცხლე იმათ უნდა შესწირო და თუ ცოტა რამეც არის მოაკლდი ზრუნვა, არ უპატრონე, ღირსეულად გადაგიხდი!..

აქ მისი ხმა მინელდა, ვით ნელი სიო; ო-უქი გადნა, აიწია მაღლა-მაღლა, გამოფრინდა ფანჯარაში, გაიფანტა, გაჰქრა...

მას უკან ის აღარავის უნახავს.

სან-განი-ძე.

[1]) უქი-ნიშნავს თოვლს. ამ სახელს ხშირად შევხვდებით იაპონიაში. ს. გ.

ჩინეთის რევოლუცია

დეპეშები.

მუკდენი. აგენტები ხარაცინის მთავრისა, რომელიც მანჯურთა დინასტიის მომხრეა, სამხედრო რაზმებს აწყობენ და ფულსაც აგროვებენ საპატრიოტო ფონდისათვის.

ზაისანი. შარახუმსა და სარსუმბეში რაღაც მზადებაა არეულობისათვის. დაბანაკებულ ჯარისკაცებს ჯამაგირს დროზე ურიგებენ. ჯარისკაცთა უმრავლესობას იარაღი აჰყარეს. ამას წინად სარასუმბეში ტელეგრაფი გამართეს.

გირინი. გუბერნატორმა ჩენჯაოჩანმა მეფეს დეპეშით მოხსენება გაუგზავნა. იგი აღნიშნავს პროვინციის ხაზინის სიღატაკეს. ხალხი გადასახადს არ იძლევა, სურსათის ფული არა გვაქვს, ჯარიც ვერ არის ძლიერი და მთავრობა ხუნხუზებს ჯეროვნად ვერ ებრძვისო.

იტალია-ოსმალეთის ომი

დეპეშები.

პარიზი. დეპუტატთა პალატა. პუანკარემ „წითელ ნახევარ მთვარის“ რაზმის მგზავრობის შესახებ ოსმალეთის საკონსულო წერილი წაიკითხა. პუანკარემ აღნიშნა, რაზმის ნეიტრალობა იტალიას წინადვე შევატყობინეთ, მაგრამ „მანუბა“ მაინც შეიპყრესო. სწრაფად დეპეშა გავგზავნე კალიარსა და რომსაო. კალიარიდან დეპეშა უკან დაგვიბრუნეს, ვერ გავიგეთ და გავიმეორეთო. იტალიის მთავრობამ კი მტკიცება დაგვიწყო, გემზე მსხდომნი ოსმალთა აფიცრები არიან და ამიტომ მათი დატყვევება უკანონობა არ არისო. ოსმალეთის საკონსულო იუწყება, რაზმი „წითელ ნახევარ მთვარეს“ ეკუთვნის და ამიტომ იტალიას ნუ დაატყვევებინებთო. დაჭერილთა უკან დასაბრუნებლად ზომებია მიღებული. იტალიამ განაცხადა, ჩხრეკის უფლებას ვერ დავთმობ და მზადა ვარ ამ საქმესთან დაკავშირებულ საკითხების განხილვისთვისაო. პუანკარეს ეს განცხადება უთანხმოების დასრულების ნიშნად მიაჩნია და ამბობს მგზავრებს მშვიდობიანის გზით გავანთავისუფლებინებთ. ამისთანა შემთხვევა იტალია-საფრანგეთის მეგობრობას ვერას ავნებსო.

პუანკარეს სიტყვის შემდეგ ინციდენტის განხილვა გათავდა. პალატა საარჩევნო კანონის განხილვას შეუდგა.

პრესას ძალიან მოსწონს პუანკარეს სიტყვა: მედგრად და თან მშვიდობიანის კილოთი ილაპარაკაო.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ.

10 იანვარი.

ბერლინი. ხელმეორე კენჭის ყრის შემდეგ აირჩიეს სულ 364 დეპუტატი, მათ შორის: კონსერვატორი—41, იმპერიის მომხრე 12, მეურნეთა კავშირისა — 10, რეფორმისტი — 3, უპარტიო კონსერვატორი—2, პოლონელი—16, ცენტრის პარტ.—91, გველფი—5, ბავარიის გლეხთა კავშირისა—3, ნაციონალ-ლიბერალი—37, გლეხთა კავშირისა—1, ბავარიის ლიბერალი—1, ხალხურ პროგრესისტების პარტიისა—35, სოციალ-დემოკრატი—99, ელზასელი 5, ლოტარინგიელი—2, დანიელი 1, თავისუფლად მოაზრეთა კანდიდატი კემფი შვიდის ხმის უმეტესობით აირჩიეს. ესეც იმიტომ, რომ იმპერიის კანცლერმა და მინისტრებმა მისცეს ხმა. რეიჰსტაგი 25 იანვარს შეიკრიბება.

მადრიდი. პოლიტიკის გართულების გამო, ამბობენ, მინისტრთა საბჭოს კანალეხასს სამინისტროს გადაყენება სჭიროდ უცვნია.

პრაგა. დღიური ხელფასის საკითხის გამო ჩამოვარდნილ უთანხმოების შემდეგ, მანქანათა ჩამომსხმელ ქარხნის პატრონებმა 9 ათასს მუშას ლოკაუტი გამოუცხადეს.

პანგერმანისტმა იროშ გლეხთა კრებაზე აღნიშნა, ავსტრია-უნგრეთს განზრახვა აქვს სამხრეთის სლავიანების მიწა-წყალი დაიპყროსო. ახალგაზდა ალბანელები ავსტრიის ხარჯით ვენის უნივერსიტეტში სწავლობენ და მათ ევალებათ ალბანიაში ავსტრია-უნგრეთთან შეერთება იქადაგონო.

ბუქარესტი. მეფემ ოპოზიციის ბელადები ინახულა. ორივე პალატა უოპოზიციოდ მუშაობს.

რუსეთი.

პეტერბურგი. ქალაქის უფროსის განკარგულებით, სამის თვით დააპატიმრებენ გაზეთ „ზვეზდა“-ს რედაქტორს, გაზეთში მოთავსებულ წერილისათვის „ეპისკოპოსის ცრემლები“.

დასრულდა პეტერბურგის ოლქის საშუალო სასწავლებლების დირექტორთა კრება.

ოდესა. ანანიევის ქალაქის თავს, სათათბიროს დეპუტატს კონიახინსა და გამგეობის ორ წევრს სამოსამართლო პალატამ საყვედური გამოუცხადა სათადარიგო თანხიდან 500 მანეთის ქალაქის საჭიროებაზე დახარჯვისათვის.

ჩემი პასუხი

იმ ინციდენტს, რომელიც 6 იანვარს მოხდა ქართულ თეატრში, ფრიად დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, და ამიტომ ვეცდები დაწვრილებით გადავცე საზოგადოებას საქმის ვითარება. განსაკუთრებით ამას მაიძულებს დრამატიულ საზოგადოების გამგეობის ორჭოფული დადგენილება.

ამ დადგენილებიდან ისე სჩანს, თითქოს დ. კასრაძეს მიეცეს ბ. კ. მესხისთვის რაიმე საბუთი გალანძღვისთვის. კატეგორიულად ვაცხადებ, რომ არც მე და არც დ. კასრაძეს არავითარი საბუთი არ მიგვიცია

გრძნობა განვითარებული. თვით დარვინის თვალ-წინ ფარშავანგი თავისი საუცხოვო მორთულობით თავს იწონებდა არა თუ ქათმების, არამედ, წარმოიდგინეთ, ღორების წინაშეც კი***) ფრთოსანთ ყურადღებას იპყრობს არა მარტო მათი, ესე იგი, ფრინველების სილამაზე და მოკაზმულობა, არამედ ქალების შლიაპებიც, საერთოდ ადამიანების აჭრელებული ტანისამოსი და სხვა.

ერთი ინგლისელი გარეულ მამლაყინწების პაემანს წააწყდა და მათი არშიყობა, ცეკვა და გართობა ცოცხალ ფერადებით აგვიწერა.

ფრინველთა ერთგვარი ჯიში (chera progna) სხვათა შორის მით არის შესანიშნავი, რომ მათი ოჯახური კერა ძალიან ადვილად ცუდდება. ვთქვათ, დედალ-მამალი შეიყარა, დაქორწილდა და პირველ თვის განცხრომას ეწევა. საკმარისია ამ დროს, სხვა და სხვა მოულოდნელ მიზეზების გამო, მამალს თავისი გრძელი კუდი მოსწყდეს ან და როგორმე ფრთები დაეკარგოს, რომ დედალმა მასთან ცხოვრება იუკადრისოს და მას სამუდამოდ გაეყაროს; ერთი სიტყვით, დედალი ამ შემთხვევაში არც ადვოკატს საჭიროებს და არც საზოგადოების მსჯავრს დაგიდევს; საკუთარ აზრს მის თვალში ყველაზე უფრო მეტი ფასი აქვს: მამალი ლამაზიც იყო, ჭკვიანიცა და გონიერიც, სანამ მას ფერადი კუდი ამშვენებდა, მაგრამ მან დაჰკარგა კუდი და მასთან ერთად დაჰკარგა ჭკუაცა, გონებაცა და საერთო მიმზიდველობაც.

ამგვარად, ზოგს სილამაზის საყოველთაო გავლენა და სიძლიერე ოცებდა, სხვებს კი მეორე მხრით, აბნევდა სილამაზის მრავალ-ფერიანობა, მისი ცვალებადი შინაარსი. როგორც მოდგმას და ხალხს, ისე კლასს დ ჯგუფს დ ხშირად ინდივიდსაც მშვენიერებაზე თავისებური წარმოდგენა ჰქონდა და აქვს. მაგ., ჩვენ ხომ თმა პირისახის დამამშვენებელ ნაწილად მიგვაჩნია, ზოგიერთ ალაგას მას უშნო რამედ სთვლიან და იპარსავენ... წითელ-კანიანი ხალხები გასალამაზებლად წითელი საღებავით სარგებლობენ, ხოლო ჩვენ, თეთრ-კანიანები, იმავე მიზნით უმარილსა და ლოყებზე წასასმელად მოწითალო ფერსა ვხმარობთ: იქ უფრო წითელია ულამაზესი, აქ უფრო თეთრია უმშვენიერესი. შავ ხალხში მსხვილი ცხვირი და ძალიან სქელი ტუჩები სილამაზის ატრიბუტად ითვლება, ჩვენში, პირიქით, მეტი მოწონება ზომიერ ცხვირსა და ტუჩებსა აქვს... აღმოსავლეთ აფრიკის შავ-კანიანმა ბავშვებმა ერთხელ კეთილ-შობილი ადამიანი, ევროპიელი მოგზაური ბურტონი თეთრ მაიმუნად მიიღეს. მე-18 საუკუნის საფრანგეთის ერთი გამოჩენილი და ენა-მახვილი ფილოსოფოსი ამბობს: „ჰკითხეთ მამალ გომბიოს, თუ რა არის სილამაზე და თქვენ პასუხად მიიღებთ, რომ ლამაზია მხოლოდ მისი ცოლი-დედალი გომბეშო თავისი დიდი და მრგვალი, გადმობრიალებული თვალებით, პატარა თავით, ფართო, განიერი პირით, ყვითელი მუცლით და მოშავო „ზურგით“-ო.

უკვე ჩერნიშევსკიმ აღნიშნა და შემდეგში იმავე დასკვნამდე მივიდა საფრანგეთის მწერალი გიუიო,*) რომ როგორც გლეხს ისე არისტოკრატს მშვენიერება სხვა და სხვანაირად ესმით. მაღალ-წოდების თვალში ლამაზ ქალად მხოლოდ ის მოსჩანს, ვისაც აქვს სუსტი შეხედულება, მკრთალი ფერი, ჩაღურჯებული თვალები, ხმელი მკლავები, პაწაწა ხელები და ფეხები, ზევით ვიწრო და ქვევით გაგანიერებული წელი და სხვ. პირიქით, დაბალ წოდების კაცს ღონე და ჯანმრთელობა, მაღალი ტანადობა, გაპარხლებული ლოყები, მსხვილი მკლავები დ სხეულის სავსე ფორმები მოსწონს. ვაჭრების სილამაზეზე შეხედულება კიდევ სხვანაირია; ამ წრეში ლამაზად უმეტეს ნაწილად ქონით სავსე, ფუნჩულა და მაგრად ჩასუქებული დედაკაცია მიღებული.

შორეულ აღმოსავლეთის ხალხები ერთ ხმაზე მღერიან, ევროპიელებს კი მხოლოდ სამ-ოთხ ხმიანი მუსიკა იზიდავს. ნაციონალურ ტანისამოსზე აღზრდილი გერმანელის თვალი ჩოხა-ახალუხის თავისებურ მშვენიერებას ნაკლებად ამჩნევს, რუსის ყური ვერ აფასებს ქართულ მელოდიების მუსიკალობას და სხვ.

აი, მშვენიერების ამ აჭრელებულმა შინაარსმა, ერთი მხრით, და, მეორე მხრივ, იმ გარემოებამ, რომ მას განვითარების მაღალ-საფეხურებზე მდგომ ორგანიზმების ცხოვრებაში ფართო სარბიელი ჰქონდა მოპოვებული, ყველა პირველ-ხარისხოვან მოაზრეს, რომელსაც კი ესთეტიკასთან რაიმე დამოკიდებულება ჰქონდა, თავისი პოზიცია დააჭერინა. არსად, არც ერთი დარგის შესახებ იმდენი დავა არ ყოფილა ატეხილი და იმდენი სხვა და სხვა აზრი არ გამოთქმულა, როგორც მშვენიერების საკითხის გარშემო. ჩვენს ნათქვამს ტოლსტოის წიგნში „Что такое искуство“ მოყვანილი ურიცხვი ესთეტიური თეორიები სავსებით ჰმოწმობს. ასეა თუ ისე, ყოველ შემთხვევაში ავტორიტეტები, თავის შეხედულებათა მიხედვით, შეიძლება ორ დიდ ბანაკად დავყოთ. ერთი ნაწილი ჰფიქრობს, რომ სილამაზის არსებობა ემპირიულ ფარგლებით განისაზღვრება; ვთქვათ, მოისპო ორგანიული ქვეყანა, მასთან ერთად მშვენიერებაც სამუდამოდ ისპობა, მეორე ნაწილი კი იმ აზრს ადგია, რომ მშვენიერება გარეშე ადამიანისა და ყოველივე ცოცხალი არსებისა სუფევს, რომ სილამაზე განყენებულ იდეას წარმოადგენს, რომ მას დამოუკიდებელი, ობიექტიური არსებობა აქვს, რომ იგი უმაღლესი, მეტაფიზიკური ძალის მისტიური გამოვლინებაა და სხვ. *) რადგან მე პირადად პირველ შეხედულებას ვიზიარებ, ამიტომ ჩემს წერილებში მშვენიერების განხილვას მხოლოდ ამ მხრით ვეცდები.

3.

რას წარმოადგენს მშვენიერების გრძნობა **ლოღიკურ-ფორმალურის მხრით?**

ამ კითხვაზე პასუხს იძლევა ემანუილ კანტის ესთეტიური შეხედულების მთავარი მუხლები, რომლებიც მან თავის „მსჯელობითი ნიჭის კრიტიკის“ პირველ ნაწილში გადმოგვცა.

საზოგადოდ, სიამოვნება შეიძლება ორ-გვარი იყოს: დაინტერესებული და დაუინტერესებელი. უკანასკნელს ეკუთვნის ესთეტიური გრძნობა: ადამიანი აქ სრულებით უანგაროდ მოქმედობს, არავითარი ანგარიშით არ ხელმძღვანელობს, მხოლოდ ცქერით კმაყოფილდება, მისი სულის მდგომარეობა აქ ყოველივე პრაქტიკულ ინტერესს მოკლებულია. (Критик. способности сужденія, перев. дъ Соколова §§ 2, 5, 13 და სხვ.).

სულ სხვაა მაშინ, როცა ადამიანი რამე სასარგებლოთი ან კეთილით ან გმირულით სიამოვნებს; აქ ის დაინტერესებულია როგორც პირველობა ან და როგორც საზოგადოების წევრი. შეიძლება ესთეტიური სიტკბოება სხვა რომელიმე გრძნობას შეუერთდეს, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც იგი ცალკე უნდა ვიგულისხმოთ. შეიძლება ქალის ლამაზად ჩამოსხმულმა ტანმა მამაკაცი ააღელვოს და მას ვნება და სურვილი აღუძრას, შეიძლება აგრეთვე მამაკაცის მიმზიდველმა სახემ ქალის არსებაში შესაფერი გრძნობები გამოიწვიოს, მაგრამ ამ გრძნობებში ესთეტიური ემოცია არ ითქვიფება, იგი მაინც თავისთვის რჩება, მას აქ მხოლოდ სქესობრივ ინსტინქტის გრძნობა ემატება. ესეც უნდა დავუმატოთ, რომ ხშირად ესთეტიური ტკბობა, სხვა რომელიმე გრძნობასთან შეკავშირებული, აძლიერებს, უფრო ინტენსიურ ხასიათს აძლევს უკანასკნელს და, პირიქით, მისგანაც შესაფერ გავლენას განიცდის. რაც არ უნდა თქვას კანტმაო, ამბობს გიუიო, ერთი რამ ცხადზე უცხადესია, სახელდობრ ისა, რომ ყველაზე უძლიერესი მშვენიერება ქვეყნად ქალის სილამაზეაო... ძველ საბერძნეთში ერთ ახალგაზდას სილამაზის ღმერთის —აფროდიტას, ქანდაკება შეუყვარდა, თურმე; ვეღარ მოითმინა, ტაძარში შეიპარა, მთელი ღამე იქ გაათია და თავის საყვარლის ხილვით სტკბებოდა... იმავე ქანდაკებას მეორე ახალ-გაზდა ცოლად წამოყოლას შესთხოვდა და ხშირად საჩუქრებიც მიჰქონდა მასთან. როგორც ვხედავთ, ორთავე შემთხვევაში ესთეტიურ სიამეს ზედ სიყვარულის გრძნობა და სქესობრივი ლტოლვილება დაერთო.

მშვენიერებას შემდეგ ის თვისება ახასიათებს, რომ იგი სუბიექტიური მოვლენაა, მაგრამ პრეტენზია კი მეაქვს, რომ საზოგადოდ, ყველასათვის სავალდებულო გრძნობათ გადაიქცეს (§ 6, 22 და სხვ.). ემანუილ კანტამდე არსებული რაციონალისტური ფილოსოფია ჰფიქრობდა, რომ სილამაზეს ადამიანის გარეშე დამოუკიდებელი არსებობა ჰქონდა, რომ ესა თუ ის საგანი და მოვლენა, მშვენიერი იყო თავის-თავად, სილამაზე მათი განუყოფელი თვისება იყო. კანტი შეუერთდა მეორე—სენსუალისტურ მიმდინარეობას, რომელიც აღიარებდა, რომ საგანი თვითონ არც ლამაზია და არც უშნო, რომ მშვენიერება, ისე როგორც სიტკბილე, სიმწარე, სიმჟავე, სიცხოველე, სხვა და სხვა სურნელოვანებანი ფსიხოლოგიური აქტია, ადამიანის შინაგანი განცდაა. ხსენებულ თვისებას, იერუზალემის სიტყვით, სხვათა შორის, შემდეგი დაკვირვება ჰმოწმობს. როცა ჩვენ დიდხანს ვუცქერით ლამაზ ნივთს, ან ყურს ვუგდებთ სასიამოვნო მუსიკალურ მელოდიას, ერთიც და მეორეც რამოდენიმე ხნის შემდეგ თავის ეფექტს ჰკარგავს და ჩვენზე ვეღარავითარ გავლენას ვეღარ სტოვებს... სენსუალისტების დებულებით კანტი, ყოველ შემთხვევაში, ვერ დაკმაყოფილდა, მან დაუმატა, რომ, მართალია, სილამაზე სუბიექტიური გრძნობაა, მაგრამ იგი იმავე დროს ყველასაგან ცნობილი და აღიარებულია, თუმცა ამისთვის არავითარი ობიექტიური სანქცია და რაციონალური მოსაზრება არ მოგვეპოვება.

(შემდეგი იქნება)

მიხ. ცეცხლაძე.

***) იგივე, XIII.

*) Гюйо. Задачи совр. эстетики.

*) იხ. მაგალითად, ვლ. სოლოვიოვის წერილები: Красота въ природѣ (Вопросы филос. и психологіи кн. 1) და общій смыслъ искуства (Вопр. фил. и психол. кн. 5).

არამც თუ ლანძღვისთვის, გამოლაპარაკებისთვისაც კი. ჩემთან მოვიდა ბ-ნი კ. მესხი და ამაღლებულის კილოთი დამიწყო ლაპარაკი. მითხრა შემდეგი: ოცდა ათი წელიწადია სცენაზე ვმუშაობ, მე მიცნობს არამც თუ საქართველო, რუსეთიც კი, და ნუ თუ ეხლა თქვენ აღმოაჩინეთ, რომ დიქცია არა მაქვს. მე ქართლელი არა ვარ, რომ ქართლული დიქცია მქონდეს, მე ლიტერატურული დიქცია მაქვსო. ამ სიტყვებს ბ-ნი კ. მესხი გაბრაზებით, ყვირილითა და ხელების შლით ამბობდა, ისე რომ საზოგადოების ყურადღებაც მიიპყრო. მიუხედავად ამისა, მე მაინც დამშვიდებული ველაპარაკებოდი და ვუმტკიცებდი, რომ ყველას თავისი შეხედულება აქვს მეთქი. ბ-ნი კ. მესხი მაინც განაგრძობდა უფრო ამაღლებულის ხმით ლაპარაკს: როგორ შეიძლება, ჩაგიგდიათ ხელში რედაქცია და **უსინიდისოდ** გვექცევით". ეს სიტყვებიც გულ-გრილად მოვისმინე. სწორედ ამ დროს მოვიდა ჩემთან დ. კასრაძე და მომმართა იმ სიტყვებით, რომელზედაც თავის წერილში ამბობს. ბ-ნმა კასრაძემ გაუმეორა სიტყვიერად ის, რაც რეცენზიაში იყო დაბეჭდილი, პასუხად კი მიიღო „нахалъ", „мальчишка", „мерзавецъ". მაშინ კი მეც მოთმინების ფიალა ამევსო და შეურაცხმყოფელს სიტყვითვე ვუპასუხე. გვიბრძანეთ, თუ ღმერთი გწამთ, ვის მისცა ბ-ნ კ. მესხს ლანძღვის უფლება? ვთქვათ, უსინიდისო და სხვა ამგვარი სიტყვები მას შეურაცხმყოფელ სიტყვებად არ მიაჩნია. ვინ მისცა უფლება ყვირილისა, ამაღლებულ კილოთი ლაპარაკისა? ამის უფლება კი არა, ეთიკა მოითხოვს, რომ მსახიობმა უბრალო საყვედურითაც კი არ მიმართოს რეცენზენტს, არამც თუ ლანძღვა-გინებით. რეცენზენტი საჯაროთა სწერს, და მსაჯული მსახიობსა და მის შორის საზოგადოებაა. მაშ, დაე ამ ჟამადაც თვით საზოგადოებამ დააფასოს, რამდენად შეეფერება სცენის ღირსებას მუშტითა და ჯოხით ამეტყველება პრესისა ისე, როგორც ეს სცენის მოღვაწეთ ესიამოვნებათ.

ჩვენ კი ასეთი მალოდობა სინიდისს ვერ შეგვიცვლის, და შემდეგაც ვემსახურებით საერთო ქართულ საქმეს ისე, როგორც სინიდისი და ამ საქმისადმი სიყვარული გვიკარნახებს.

არ. ჯაჯანაშვილი.

იძულებითი განმარტება

ჩემი შენ გითხარი—
გული მოგიკალო.
ქართული ანდაზა.

6 იანვარს ქართულ თეატრში მომხდარი ინციდენტი ბ-ნმა კ. მესხმა თავისებურად ახსნა და ისევ მე გამომიყვანა დამნაშავედ. ყოველ შემთხვევაში იმ პასუხიდან, რომელიც დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ „სახალხო გაზეთის" რედაქციას მისცა, ასეთი დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ. მთელი ბრალდება მე მომახვიეს თავზე, თითქოს ბ-ნ კ. მესხისთვის თვალები უნდა დამეკოცნა, როდესაც იგი მიყვიროდა „ნახალ"-ს „მერზავეც"-ს. რაში გამოიხატა ჩემი დანაშაული? მხოლოდ იმაში, რომ ზურგთ უკან ჩემი გინების გამო მშვიდობიანად შევნიშნე შემდეგი: „გარდაეცით თქვენს მოკამათეს,—მივმართე ბ-ნ ჯაჯანაშვილს,—რომ არ არის საკადრისი ადამიანის ზურგთ უკან ლანძღვა, რომ არის უფრო კეთილშობილური გზა და საშუალება, რომლითაც შეუძლიან ანგარიში გაუწიოს მეთქი".

ეს იყო და ეს. თუ ეს ჩემი სიტყვა „შეუსაბამობასა" ნიშნავს, მაშინ, დიახაც, მე კ. მესხისთვის შეურაცხყოფა მიმიყენებია! ვიმეორებ, ჩემი სიტყვა მიმართული იყო ჯაჯანაშვილისადმი. მაგრამ მესხმა საჭიროდ დაინახა, რომ პირდაპირ გამომკამათებოდა: „ოცდა ათი წელია, რაც სცენას ვემსახურები და ეხლა კრიტიკის გარეშე ვიდექი?" (თუ ვცდები, შემისწოროს ან თვითონ მესხმა, ან და მოწმე ჯაჯანაშვილმა). ჩემი პასუხი: „მე არ ვიცი, ოცდა ათი წლის ანგარიშს არა ვწერ, რაც შეეხება **კასკას როლს, დიახ, აქ თქვენ კრიტიკის გარეშე იდექით!**" აი ეს ჩემი გულწრფელი პასუხი. და თუ დრამ. საზოგადოება ამაში „შეუსაბამობასა ჰხედავს, მაშინ, დიახაც, რომ მესხისთვის შეურაცხყოფა მიმიყენებია. მან ჩემი პასუხი ითაკილა და იმ სიტყვებით გამიმასპინძლდა, რომელიც ზემოდ მოვიყვანე. მის ყვირილზე ხალხი მოიკრიბა, მაშინ ჩემს მაგივრად პასუხი ჯაჯანაშვილმა გასცა.

მაშინ არა მიპასუხნია რა, ყველანი იქვე მივატოვე და პირდაპირ თეატრის დარბაზში შეველ. და თუ ეს ჩემი უკანასკნელი საქციელიც დრამატიულ საზოგადოებას მართლა „შეუსაბამოდ" მიაჩნია, მაშინ, დიახაც, რომ კ. მესხისთვის შეურაცხყოფა მიმიყენებია.

დ. კასრაძე.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

ზამთრობით (15 ოქტომბრიდან 1911 წ.)
(დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

ტფილისიდან გადის.

ბათუმისაკენ: 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—II კლ., საღ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. საღ. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 13 წ.

ბაქოსაკენ: 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარაში ღამ. 11 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ, № 6, I—II კლ. დღ. 3 ს. 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარაში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 11 წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—III კლ. ღამ. 11 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარაში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარაში დილ. 5 ს. 8 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სამგზ. მატარებ. № 9/66, I—III კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ: 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. საღ. 1 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 11 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

ტფილისში მოდის.

ბათომიდან; 1) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, II—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

ბაქოდან: 1) სამგზ. № 5, I—III კლას. საღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № 1, I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 107, IV—III კლ. ღამის 9 ს.

ერევან-ჯულფიდან: საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. 1 ს. 40 წ.

ბორჯომიდან: სამგზ. № 61/0, I—II კლ. დილ. 8 ს.

შენიშვნები: 1 გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებით).

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები	
1—2	**გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4	**მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6	**ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7	**შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).
8—9	**ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12	**ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715)

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).
5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).
10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველან შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩ. 51 და მალაკანის მოედანზე.

განცხადებანი

სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა
მუდმივის საწოლებით.
მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფთ:

ალაჯანოვი—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.

ვ. ვ. ვნუკოვი—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრვებსა, სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.

კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. $11^1/_2$—$12^1/_2$ სათ.

ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტეროლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

წამლობა „606"-ით.

(100—1615—12).

გამოცდილმა

მასწავლებელმა

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და **მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამო 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв, 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).

(თ. 1084.62)

ქ. თელავში

ისყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე

ჭრა-კერვის

◀ **წიგნის** ▶

თვით-მასავლებელი, 128 ნახატი.
ახალი მეთოდი.

ექვს ნაწილად; ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის! აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული

სოფიო ი. სიმონოვის მიერ.

ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტსერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი:
Въ Г. телавъ „Школа кроики и шитья Софіи Іосифовны Симоновой. Бульв. пер. 2. собс. домъ (100—1140—96)

მუხრანის კერძო

სამკურნალო

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул. 9 и 48. Цицiяновская подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ № 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

ა. ა. გაზაზოვი. შინაგან სნეულებანი, დილის 10--11 ს.-მდე.

გ. მ. გოგობერიძე. შინაგან და ბავშვებისა, 11--12 ს.-დე.

მ. კ. იოსელიანი. დედათა სნეულებანი, დილის 10-ნახევრიდან 11 ს.-დე.

მ. ლ. შტრეიხერი. ყელისა და ყურისა, 11 ნახ. 12 ს.-დე.

ლ. გ. საყვარელიძე. შინაგან და ბავშვ., 12 ნახ. 1 ს.-დე.

იაშვილი. შინაგან, 1--2 ს.-დე.

გ. ბ. მელკონიანი. ქირურგ., 12--1 საათამდე.

ა. ი. გრიგორიანი. ქირურგიულ., 11--12 ს.-მდე.

გ. ა. ახვერდოვი. შინაგან, 12 ნახ. 1 ნახევარ ს.-დე.

მ. დ. კილოსანიძე. ქირურგ. 12 ნახევრ. 1 ნახ. ს.-დე.

კევში. კბილისა, 8--10 ს.-დე.

მ. ბ. მიკირტუმოვი. დედათა სნეულებ. და საბებიო, 1 ნახ. ს.-დე.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata) **„606"-ით.** დარიგების ფასი 50 კაპ. სტაციონალური ექიმობისათვის 3--5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვა მორიგებით.

№ (646. 100--56 (0--1003--203)

სამკურნალო დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა.
დაარსებულია 1830 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

დილით:

ბ. ა. ნავასარდიანი; 11 11 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

ყ. მ. ჩიქოვანი: $9^1/_2$ 10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10--11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მლინი: 10 12 ს. ყურისა, ცხვირისა და უყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11--12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი: 12 1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ქალ. ექ. ბ. ს. ზილბერშაცი: $12^1/_2$ **1** ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა,

გ. ი. გურგენოვი: 1 1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1 $1^1/_2$ ს. შინაგანი და საბავშვო.

ბ. გ. აგასაროვი: 9 10 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

საღამოთი:

ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი: 5--$6^1/_2$ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

მ. გ. ავეტისიანცი: 6--7 საათ.

11—12 ს. 606-ით წამლობა, კონსულტატიურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ. 1168.211)

კარაკულის ქუდი

2 მანეთად.



უმაღლეს ხარისხის ხელოვნურ კარაკულის ნაცრის-ფერი და შავი ქუდი, შავ წმინდა აბრეშუმ-ატლასის სარჩულით. დამკვეთელთ დაკვეთის დროს უნდა გამოგზავნონ თავის ზომა. ეგზავნებათ ფასდადებით, უბეოდ. გასაგზავნის და გასახვევ მასალისათვის 55 კ. იხდიან. ციმბირში კი 95 კ. ვინც 3 ქუდს დაიკვეთს გასაგზავნ ხარჯს ჩვენვე ვკისრულობთ. დაწუნებულს უკანვე ვიღებთ.

მისამართი: Кивману, Лодзь. № 8. Д. მეტცლ. 82345. (4—1009—2)

არსდება 16 იანვრიდან

3 კვირიანი კურსები

ჭრა-კერვისა, ფასონების გადაღებისა და ხელოვნურ ხელსაქმის (ქარგვა და სხვა)

ქ-ნ მ. ა. ბერიშვილისა, რომელმაც მოსკოვში ერმოლოვის კურსები დაასრულა.

მიხეილის ქუჩა № 122, ბინა № 2. მოწაფეთა მიღება დილის 10—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. (4—1004—2)

სააქციონერო საზოგადოება

„ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორია".

(დაარსებული 1860 წ.)
იზმაილოვის პროსპექტი, № 27.

1900 წ. პარიზის ოქროს მედალი.

ო-დე-კოლონი ორადი.
ო-დე-კოლონი სამადი.
ო-დე-კოლონი № 4 (ექსტრაქტი)

ღირსებით არ ჩამოუვარდება უცხოეთის ნაწარმოებს.

მთავარი საწყობი: ტფილისი, სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა.

„ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორიის" საზოგადოება თხოულობს, **რადგან ყალბი ნაწარმოებიც ჩნდება,** მიაქციონ ყურადღება ფირმის სახელწოდებას, რომელიც **მხოლოდ სამი სიტყვისაგან** შესდგება:

„ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორია".

და **ნიშანს** საზოგადოებისას, რომელზედაც გამოხატულია ძეგლი **იმპერატორ პეტრე დიდისა,** ს.-პეტერბურგში, სენატის მოედანზე დადგმული. (12—1297—6)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2-3 ს. საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ)

ჩვენი გაზეთი რედაქციაში,
1911 წელს

დავკარგე

ხელთ-ნაწერი რვეული

„სურათი მოგზაურობისა".

მპოვნელს ვთხოვ მოიტანოს ოლგის ქ., 12, არშაკუნიევთან, რასთვისაც გასამრჯელოს მიიღებს. (1.173.1)

სამშობიარო თავშესაფარი [illegible]

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კიმში, № 34, ფეოდოსის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. დ მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიო საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11--12 ს.-მდე ამოწმებს თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. მიკირტუმოვი.** (თ. 1646.7)

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ"-ზე

✦ წელიწადი მერვე. ✦

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი „ნაკადულისა" მცირე წლოვანთათვის; **12 წიგნი „ნაკადულისა"** მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს **დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა- ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.**

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის" რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій просп. д. № 8 და წერაკითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის" აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, განჯაში—ოდიშარიასთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**
(წ.—1627—14 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

---

15 იანვრიდან 1912 წ.

არსდება პარალელური განყოფილება

სავაჭრო-სამრეწველო სამინისტროს უწყებაში მყოფ

პრაქტიკული კურსები ბუხჰალტერიისა და საკომერციო ანგარიშისა

ი. ფ. პალატნიკოვისა.

ტფილისი, მიხეილის ქუჩა, № 132.

კურსებზე ორთავ სქესის მსმენელთ ასწავლიან საფუძვლიანად და დამთავრებულ ცოდნასრომ დამოუკიდებლად შეეძლოთ საკანტორო-საბუხჰალტრო და სავაჭრო მიწერ-მოწერის წარმოება. კურსებზე შემსვლელი საფუძვლიანად შეისწავლის: 1) ა) **ბუხჰალტერიას;** უბრ. ორმაგს, იტალიურს, გერმან., ამერიკ., ფრანგ. და ახალს რუს. (ყველა სისტემი, შესწავლის დროს სავალდებულო პრაქტიკულ ვარჯიშობით; ბ) **ანგარიშის წარმოებას** საალებ-მიცემო, საბანკო, საქარხნო, სამეურნეო, ქალაქთა და ერობათა სამმართველოს. 2) საკომერციო არითმეტიკას. 3) სავაჭრო უფლებათ. 4) თამასუქების საქმეს. 5) საალებ-მიცემო მიწერ-მოწერას. 6) ჩოთქზე ანგარიშს. 7) კალიგრაფიას—ლამაზსა და მართლ-წერას. 8) საბეჭდ-მანქანაზე მუშაობას. 9) საარითმეტიკო მუშაობას, რათა უფრო უკეთესად შეისწავლონ კურსები, იქვე არსებობს მოსამზად. განყოფილება, რუსულისა და არითმეტიკის შესასწავლად. **მეცადინეობა დაიწყება 15 იანვრიდან, 1912 წ.,** ✦ **ჯარის კაცთა და მოწაფეთ, თუ სამისო საბუთებს წარმოადგენენ, სასწავლო ფულს ნაწილ-ნაწილ ახდევინებენ.** პროგრ. და წესდება უფასოდ ეძლევა და ეგზავნება ყველას

(5.1005.4) კურსების დამაარსებელი **ი. ფ. პალატნიკოვი.**

P. S. კურსები მსურველთ ურჩევენ ბუხჰალტერ-კორესპონდენტებს თავის თავდებობით.

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

ჯეჯილი

ოცდა მესამე წელიწადი.
მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისათვის და მოზრდილთათვის. ჟურნალი „ჯეჯილი" ტფილისში ეღირება 4 მ., ქალაქ გარედ (გაგზავნით) 5 მ., ნახევარი წლით 3 მ., ცალკე ნომერი 40 კაპ.

ქალაქ-გარედ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიჰმართონ **ქუთაისში**—ის. კვიცარიძეს; **თელავში**—კნ. ნ. ჩოლოყაშვილს; **სიღნაღში**—კნ. ნ. სვიმ. ანდრონიკაშვილს; **ჭიათურაში** ნიკო წუწუნავას; **სამტრედიაში**—პელ. რამიშვილს; **ქ. გორში** თამ. თარხნიშვილს; **ბათუმში**—მიხ. კალანდაძეს. წლიურ ხელის მომწერლებს დაურიგდებათ საჩუქრად ორი წიგნი: **„ლომ-კაცი"**, ზღაპარი **გ. წერეთლისა**, სურათებით და **„ცხელი ქვეყნების მცხოვრებლები"**, ალ. ჭიჭინაძისა, სურათებით.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ въ редакцію грузинскаго дѣтск. журнал. „Джеджили".

(3.1440.2) რედ.-გამომცემელი **ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.**

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

საკომერციო ცოდნათა კურსები

ტ. მ. ფილოიანისა,

(ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახლი № 24—4, ტელეფონი 976).

სპეციალური საკომერციო განათლება ვაჟებისა და ქალებისათვის.
კურსის დამთავრების შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.

პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავლებელში (ლონდონში) და Pigie-ს (პარიზში), Muster comtoir-ში. მასალები რეალურ ცხოვრებიდან აიღება:

საგნები; ა) სავალდებ.: 1) ბუხჰალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, ამერიკული, საბანკო და საფაბრიკო-საქარხნო; 2) კომერციული არითმეტიკა. 3) პოლიტიკური ეკონომია. 4) კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება). 5) კომერციული კორესპონდენცია. 6. არითმეტიკა ჩოთქზე. 7) კალიგრაფია, სწორი წერა, ხელის გასწორება. ბ) არა სავალდებულო: 1. **უცხო ენები.** 2) სტენოგრაფია. 3) დაქტილოგრაფია (რემინგტონი და სხვა) და 4) კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე. მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე თითოეულად. თხოვნები მიიღება 10—12 ს. დილით და 4—7 ს. საღამ. რადგანაც დიდ-ძალი მსმენელნი მოაწყდა, იხსნება მეორე პარალელური განყ., რომელიც ქალაქ გარეთელთათვის უფრო სახერხოა. მეცადინეობა დაიწყება 15 იანვრიდან. პროგრამები და წესები მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების სადგომიდან. (4—1668—4)

ტფილისი, სტამბა „შრომა" მუხრანის ქუჩა